ახალი განათლება

13.09-19.09.2018

№25 (819) გამოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge

ახალი სასწავლო წელი განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის პირველი ხმაურიანი გადაწყვეტილების ფონზე დაიწყო. თანამდებობაზე დანიშვნიდან ორი თვის შემდეგ მიხეილ ბატიაშვილმა მასშტაბური საკადრო ცვლილებები განახორციელა. 10 სექტემბერს, საგანგებოდ გამართულ ბრიფინგზე მან თანამდებობიდან გაათავისუფლა ორი მოადგილე და კიდევ უწყების ოთხი მაღალჩინოსანი.

თეიმურაზ მურღულია

დღევანდელი საჯადრო ცვლილებები არის მხოლოდ ნანილი და ვფიქრობთ, რომ ჩვენთვის უნდა მოვემზადოთ საფუძვლიანად და განათლების ყველა მიმართულებით მოგვინევს მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმა. მიგვაჩნია, რომ ახალმა გუნდმა ახალი ხედვით და მეტი ენერგიით უნდა შეძლოს ამ ჩვენთვის განხორციელება.

მიხეილ ბატიაშვილი

ლია ბიბაური

მაია მიმინოშვილი

ბიოჩბი მაჩაბელი

თამარ სანიკიძე

მანანა მიქაბერიძე

აქტუალური თემა

მასშტაბური საკადრო ცვლილებები განათლების სამინისტროში

ახალი სასწავლო წელი განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის პირველი ხმაურიანი გადაწყვეტილების ფონზე დაიწყო. თანამდებობაზე დანიშვნიდან ორი თვის შემდეგ **მიხეილ ბატიაშვილმა** მასშტაბური საკადრო ცვლილებები განახორციელა. 10 სექტემბერს, საგანგებოდ გამართულ ბრიფინგზე მან განაცხადა, რომ შვიდის ნაცვლად, ხუთი მოადგილე ეყოლება და თანამდებობიდან გაათავისუფლა ორი მოადგილე – **თეიმურაზ მურღულია** და **ლია გიგაური**, ასევე უწყების კიდევ ოთხი მაღალჩინოსანი – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი **თამარ სანიკიძე**, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი **გიორგი მაჩაბელი**, შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორი **მანანა მიქაბერიძე** და შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორი **მაია მიმინოშვილი**.

მინისტრმა მადლობა გადაუხადა მათ გაწეული სამუშაოსათვის და აღნიშნა, რომ განათლების ხელმისაწვდომობის და ხარისხის არსებითი ზრდა ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია. ქვეყნის განვითარებისთვის აუცილებელია კონკურენტუნარიანი განათლების სისტემის შექმნა, თანამედროვე მოთხოვნებზე მორგება, რისთვისაც იგეგმება არაერთი უმნიშვნელოვანესი რეფორმა. შესაბამისად, ამ პროცესს ახალი ენერგია და ხედვები, ახალი საკადრო პოლიტიკა სჭირდება. სწორედ ამის გათვალისწინებით მიიღო საკადრო ცვლილებებთან დაკავშირებული გადაწყვეტილება.

მინისტრმა საკადრო ცვლილებების გაგრძელება დააანონსა და უახლოეს მომავალში საზოგადოებას განათლების სისტემის ახალ, თამამ გადაწყვეტილებებზე ორიენტირებული კადრების გაცნობას დაჰპირდა, რომელთა დანიშვნაც შესაბამისი პროცედურების გავლით მოხდება.

„ჩემი მოსვლის პირველივე დღიდან გავაკეთე განცხადება სისტემაში არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით, ეს შეეხებოდა როგორც გრიფირების პროცესს, ასევე სკოლებში არსებულ სხვადასხვა ტექნიკურ დარღვევებს და ა.შ. ისიც განვაცხადეთ, რეფორმების სწრაფად განხორციელება რომ დავიწყოთ, ძალიან მნიშვნელოვანია სისტემური ცვლილებები. ეს არის მნიშვნელოვანი წინაპირობა იმისთვის, რომ სწრაფი ნაბიჯებით დავიწყოთ რეფორმების განხორციელება. უახლოეს დღეებში იქნება ჩვენი რეფორმის პრეზენტაცია, დაიწყება იმ ნაბიჯების განხორციელება, რომლებიც, ვფიქრობ, უახლოეს პერიოდში ხელს შეუწყობს სისტემის გაჯანსაღებას და, როგორც ვთქვით, ეს ცვლილებები განხორციელდება ახალ გუნდთან ერთად.“

საქართველოს პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარემ, **მარიამ ჯაშმა**, განაცხადა, რომ საკადრო ცვლილების განხორციელება უშუალოდ მინისტრის პრეროგატივაა, იმავდროულად მიიჩნევს, რომ ნებისმიერი ცვლილება, რომელიც უახლოეს დღეებში გამოცხადდება, იქნება მხოლოდ დადებითი როგორც ჩვენი მოსწავლეებისთვის, ასევე პედაგოგიური კორპუსისთვის.

ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტის ჰუმანიტარული მიმართულების ხელმძღვანელი **თამარ ჯაყელი** ამბობს, რომ მინისტრმა გაბედული ნაბიჯი გადადგა, რადგან ცვლილებები განათლების სისტემას ნამდვილად სჭირდებოდა.

„ჩემი აზრით, ეს იყო ძალიან დროული გადაწყვეტილება, შეიძლება ითქვას, დაგვიანებულიც, იმის გამო, რომ უკვე კარგა ხანია ჩვენი სისტემა სტაგნაციაშია. იმ სტრუქტურით და მოცემულობით, რა მდგომარეობაშიც სისტემა იყო, რეალურად, ვერ ხერხდებოდა ზოგადი განათლების ხარისხის მკვეთრი გაუმჯობესება.

აუცილებლად მინდა აღვნიშნო, რომ თითოეულ ამ ადამიანს, ვინც გათავისუფლდა, რასაკვირველია, თავისი წვლილი აქვს შეტანილი განათლების სისტემის განვითარებაში და ყველას პატივისცემით მოვიხსენიებ, უბრალოდ, საჭიროა სისტემის მთლიანი განახლება, პირველ რიგში – კონცეპტუალური თვალსაზრისით.

ყველა ის სტრატეგია, ის ბერკეტი, რომელიც აქამდე ჩვენს სისტემაში მოქმედებდა, ვერ აუმჯობესებდა განათლების ხარისხს. ვერ ხდებოდა სერიოზული, არსებითი ცვლილებების შეტანა საკლასო ოთახში. ამ თვალსაზრისით, იმედი მაქვს ამ გადაწყვეტილებას ძალიან მნიშვნელოვანი, სასიკეთო ცვლილებები მოჰყვება ჩვენი მომავლისთვის, ჩვენი მოსწავლეებისთვის და მასწავლებლებისთვის.

სრულად ვეთანხმები მინისტრის გადაწყვეტილებას. დიდი პრობლემა იყო იმ მხრივ, რომ სისტემაში არ იყო კონცეპტუალური ერთიანობა, რაც აუცილებელია იმისთვის, რომ ძალისხმევა საერთო მიზნისკენ მიდიოდეს, სკოლა აბსოლუტურად „იხლიჩებოდა“. ამ მხრივ, იმედი მაქვს მდგომარეობა გამოსწორდება. უკვე იმდენად „გამკვრივებული“ იყო ვითარება, რომ ამის „გალღობას“ და „გადადნობას“ ეს ცვლილებები ნამდვილად სჭირდებოდა. ვფიქრობ, გაბედული ნაბიჯია, რადგან ამას, უკვე დიდი ხანია, ყველა გრძნობდა, მაგრამ ნაბიჯის გადადგმას ვერავინ ბედავდა.”

სკოლა „ჰამილტონის“ დირექტორის, განათლების საკითხებში ექსპერტის, **გია მურღულიას** აზრით, უკიდურესად მნიშვნელოვანია ვინ შეცვლის ამ ადამიანებს, როგორი იქნება მათი შერჩევის კრიტერიუმები, ზოგადი კონცეფციის ფარგლებში რა სამუშაო გეგმას, რა ვადებით და რა პასუხისმგებლობებით წარმოადგენენ ახალი ადამიანები. *„სხვათა შორის, ეს ზოგადი სათქმელია, რომ ჩვენში არის ძალიან დაბალი კულტურა გაწეული მუშაობის შეფასების. პასუხისმგებლობის ზომა კარგად უნდა იგრძნოს როგორც საზოგადოებამ, ისე მმართველმა გუნდმა. მინისტრმა განაცხადა, რომ განათლების სისტემის ახალ კონცეფციას მალე წარმოადგენს. ახლა საინტერესოა, როგორი იქნება ახალი ხედვა, როგორი გუნდი წარდგება ამ ხედვის და ამ კონცეფციის სარეალიზაციოდ საზოგადოების წინაშე, რა ვადები იქნება დასახელებული.“*

განათლების ექსპერტი იმაზეც საუბრობს, რომ თუკი წარმატების მიღწევა გვინდა, განათლების სისტემის გააზრების მიზნების ერთიანი ველი უნდა შეიქმნას, მისი მიღწევის მექანიზმები და ა.შ. თუ არ არის ასეთი ერთიანი ველი, ცალ-ცალკე თუნდაც გონივრული აქტივობები სხვადასხვა უბანზე სრულფასოვანი შედეგის მომტანი ვერ იქნება. *„ამიტომ, პირველი, რასაც ვისურვებდი ეს არის, შეიქმნას ერთიანი სივრცე განათლების სისტემის, სადაც ყველა კომპონენტი სინქრონულად იმოქმედებს ერთი მიზნის მისაღწევად. რიგ შემთხვევაში, საზოგადოებას შეუმჩნევია, რომ განათლების სისტემის სხვადასხვა კომპონენტი მთლად შეხმატკბილებულად არ მუშაობს.“*

განათლების სისტემის რეფორმას და საკადრო ცვლილებებს ზოგადად დადებითად აფასებენ განათლების სხვა ექსპერტებიც და თანხმდებიან, რომ ახლა მთავარია საერთო კონცეფციის შემუშავება, რომელიც სისტემას არსებული ჩიხიდან გამოიყვანს.

რეზო აფხაზავა, განათლების ექსპერტი: *„მნიშვნელოვანია, რომ ის რამდენიმე მიმართულება და პროგრამა, რომელიც წარმატებით მუშაობდა, ის კურსი დეცენტრალიზაციის შენარჩუნებულ იქნეს და ის სიახლეებიც, რომლებსაც უახლოეს მომავალში გვპირდებიან, იყოს მართლაც რეალურად სკოლისა და ზოგადად განათლების სისტემის განვითარებაზე ორიენტირებული.“*

განათლების ექსპერტ **თამარ მოსიაშვილს** მიაჩნია, რომ ჩიხია ყველა მიმართულებით – გამოცდების, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების, ხარისხის მართვის და სხვ. ძალიან ბევრი პრობლემაა, რასაც, მისი აზრით, კომპეტენტური ადამიანებისგან შემდგარი გუნდი ნამდვილად წაადგებოდა.

მინისტრის ბრიფინგზე განათლების სისტემის მაღალი თანამდებობის პირების განთავისუფლება მოულოდნელი აღმოჩნდა საზოგადოებისთვისაც და, როგორც ჩანს, თავად განთავისუფლებულთათვის.

თეიმურაზ მურღულია განათლების მინისტრის მოადგილის თანამდებობას 2016, ლია გიგაური – 2013 წლიდან იკავებენ. მათი შესაძლო გათავისუფლების შესახებ საუბარი მას შემდეგ გააქტიურდა, რაც ახალი მინისტრის პირობებში სახელმძღვანელოების გრიფირების პროცესში გამოვლენილი ხარვეზების შესწავლა დაიწყო. უკავშირდება თუ არა ეს საკითხი მათ გათავისუფლებას, ამაზე მიხეილ ბატიაშვილს არ უსაუბრია. თავად მურღულია ამ კავშირს კატეგორიულად გამორიცხავს და მინისტრის გადაწყვეტილებას პრინციპულ საკითხებზე შეუთანხმებლობით ხსნის. *„თუ ვინმე შეეცდება ჩირქი მოსცხოს გრიფირების პროცესს, მზად ვარ პასუხი გავცე. თუ ამ მიმართულებით ვინმეს რაიმე პრეტენზია აქვს, ჯერ ამის შესწავლა და განხილვა უნდა მოხდეს. როდესაც განხილვა არ არის დასრულებული, შეფასებების გაკეთება შეუძლებელია.*

იცით, რომ ამ თანამდებობისგან დამოუკიდებლად ვარ რექტორის მოვალეობის შემსრულებელი ქუთაისის საუნივერსიტეტო კომპლექსის და ჯერჯერობით იქ კიდევ არის საქმეები, რომელიც მისახედია. ამიტომ მომიწევს ამ ვალდებულებების შესრულება. მერე ვნახოთ!“

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის, მაია მიმინოშვილის სახელი, ბოლო პერიოდში, სამაგისტრო გამოცდების ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს უკავშირდება. ცენტრმა საკუთარ საიტზე, სავარაუდოდ, საგამოცდო ტესტების სწორი პასუხები წინასწარ გამოაქვეყნა. თუმცა ცენტრმა ეს ინფორმაცია მალევე უარყო. ეროვნული გამოცდებისას კონდიცირების მოუწესრიგებელ სისტემასთან დაკავშირებით შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა პრემიერისგან საჯარო კრიტიკა დაიმსახურა.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის უკვე ყოფილი დირექტორი გიორგი მაჩაბელი მიიჩნევს, მინისტრის გადაწყვეტილებაში არაბუნებრივი არაფერია და ამბობს, რომ ეს მინისტრისა და მისი ერთობლივი გადაწყვეტილება იყო, რადგან იგეგმება განათლების რეფორმის ახალი ტალღა. საკადრო ცვლილებები, რომელიც განხორციელდა, სულაც არ ნიშნავს, რომ ვიღაცამ რაღაც მიზანს ვერ მიაღწია ან ვიღაცამ ცუდად იმუშავა. ამა თუ იმ ეტაპზე არის გარკვეული გარემოებები, ამ ეტაპზე ასე ჩაითვალა საჭიროდ.

ცვლილება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრსაც შეეხო, რომლის სახელს, ბოლო პერიოდში, სამი ხმაურიანი საქმე უკავშირდება: გასული წლის იანვარში, ავტორიზაციის საბჭომ ავტორიზაცია გაუუქმა ბათუმში მდებარე შაჰინის სკოლას, იმავე საბჭოს გადაწყვეტილებით, აგვისტოში ფუნქციონირება შეწყვიტა დემირელის კოლეჯმა. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს კი, 2018-19 სასწავლო წელს, პირველკურსელთა მიღების უფლება ჩამოერთვა. ამ გადაწყვეტილების გამო უნივერსიტეტის სტუდენტებმა აქცია განათლების სამინისტროსთან 10 სექტემბერსაც გამართეს. უკავშირდება თუ არა თამარ სანიკიძის გათავისუფლება ამ ხმაურიან საქმეებს? ალბათ, ამ კითხვაზე პასუხს მალე შევიტყობთ ისევე, როგორც სხვა საკადრო ცვლილებების მიზეზების შესახებაც.

თამარ სანიკიძე კოლეგებს ფეისბუქგვერდზე გამოქვეყნებული სტატუსით დაემშვიდობა: *„მინდა მივმართო ჩემს კოლეგებს და თანამშრომლებს, რადგან ყველასთან პერსონალურად დამშვიდობება ვერ მოვახერხე. 2016 წლიდან მოყოლებული, რომ არა თქვენი საქმისადმი დამოკიდებულება და სურვილი, რომ რეალური გარდატეხა მომხდარიყო იმ სისტემაში, რომელსაც ჩვენ ყველანი ვემსახურებით, შეუძლებელი იქნებოდა იმ პროცესების განხორციელება და იმ შედეგების მიღწევა, რასაც ბოლო ორი წლის მანძილზე მივაღწიეთ.“*

მიმდინარე კვირას მიხეილ ბატიაშვილი განათლების სისტემის ახალ რეფორმას წარადგენს, სავარაუდოდ, თვის ბოლოს კი, გრიფირების პროცესში არსებული ხარვეზების შესახებ სამინისტროს შიდა აუდიტის დასკვნა გასაჯაროვდება. მინისტრის განმარტებით, კონკრეტული პირების პასუხისმგებლობის საკითხი სწორედ ამის შემდგომ დადგება.

ცვლილებები კი გაგრძელდება და როგორც მიხეილ ბატიაშვილმა განაცხადა, უახლოეს მომავალში, საზოგადოება განათლების სისტემის ახალ, თამამ გადაწყვეტილებებზე ორიენტირებულ კადრებს გაიცნობს, რომელთა დანიშვნაც შესაბამისი პროცედურების გავლით მოხდება. *„დღევანდელი საკადრო ცვლილებები არის მხოლოდ ნაწილი და ვფიქრობთ, რომ რეფორმისთვის უნდა მოვემზადოთ საფუძვლიანად და განათლების ყველა მიმართულებით მოგვიწევს მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმა. მიგვაჩნია, რომ ახალმა გუნდმა ახალი ხედვით და მეტი ენერგიით უნდა შეძლოს ამ რეფორმების განხორციელება.“* – აცხადებს მინისტრი.

მოამზადა
ლალი თვალაბეიშვილმა

სახელმძღვანელოები

ქართულად კითხვა ბავშვმა ქართული მწერლობით უნდა ისწავლოს

სასკოლო სახელმძღვანელოების საკონკურსო წესით შერჩევისა და გრიფირების პროცესში რომ გარკვეულ დარღვევებს ჰქონდა ადგილი, ამის შესახებ უკვე ითქვა პრესითა და ტელევიზიით. ახლა კი სკოლამ პირველი კონკრეტული შედეგიც იხილა: სხვა წიგნები აირჩიეს, სამინისტრომ კი სულ სხვა სახელმძღვანელოები შესთავაზა. პედაგოგთა დიდი ნაწილი სამართლიანად არის განაწყენებული და კითხულობს: ამ წიგნების არჩევა რომ გვდომებოდა, თავიდანვე ავირჩევდით, რატომ ჩაანაცვლეს სხვა ავტორების წიგნებით ჩვენ მიერ არჩეული სახელმძღვანელოებიო?!

როგორია თავად სახელმძღვანელოების ავტორის თვალით დანახული ეს დარღვევები, რატომ აირჩია სკოლამ ერთი და მიიღო სულ სხვა, ამის შესახებ პროფესორი **ნათელა მაღლაკელიძე** *გვესაუბრება.*

აღნიშნული კონკურსი უნდა გამოცხადებულიყო 2015 წელს, რადგანაც მოქმედ სახელმძღვანელოებს ვადა 2016 წლამდე ჰქონდათ. სამინისტრომ 2018 წლამდე ამ წიგნებს ვადა ორჯერ გაუგრძელა. მაშინ პირადად მე ვთვლიდი, რომ სამინისტრომ უბრალოდ თავი ვერ მოაბა ამ საკითხს, ახლა კი მიმაჩნია, რომ ეს შეგნებულად მოხდა და ვიღაცას/კონკრეტულ გამომცემლობას მისცეს დრო სახელმძღვანელოების მოსამზადებლად. ყველა დამეთანხმება, რომ რამდენიმე თვეში, თუნდაც 1 წელიწადში, ვერაფრით მოახერხებ საკონკურსოდ I-VI კლასებისათვის 20 წიგნის მომზადებას (დავაკონკრეტებ: ქართულ ენასა და ლიტერატურაში უნდა მომზადებულიყო **12** წიგნი I-IV კლასებისათვის – მოსწავლის წიგნი, მოსწავლის რვეული, მასწავლებლის წიგნი, და **8** წიგნი V-VI კლასებისათვის – ქართული ლიტერატურა, ქართული ენა, მოსწავლის წიგნი და მასწავლებლის წიგნი). კონკურსი ოფიციალურად გამოცხადდა 2017 წლის თებერვალში, ტექნიკური პარამეტრები (რომელთა გარეშე ვერ მომზადდებოდა საკონკურსო მაკეტები) ცნობილი გახდა მხოლოდ ივნისში. საკონკურსო მასალა კი სამინისტროსათვის 2017 წლის სექტემბრის ბოლოს უნდა ჩაგვებარებინა (შემდეგ ვადამ უმნიშვნელოდ გადაინია და ოქტომბრის პირველი რიცხვებით განისაზღვრა). კონკურსის დაგვიანებით გამოცხადების გამო **ძალიან მცირე იყო სახელმძღვანელოების დაწერისა და საკონკურსო მაკეტების დამზადებისათვის გამოყოფილი დრო.**

აქვე იმასაც ვიტყვით, რომ სახელმძღვანელოების დაწერისა (7 თვე) და ექსპერტიზისათვის (6 თვე) ფაქტობრივად ერთი და იგივე დრო იყო გამოყოფილი. ვფიქრობთ, რომ ვადები ექსპერტიზისათვის ხელოვნურად იყო გაწელილი (ექსპერტები 6 თვის განმავლობაში ამაში ხელფასს იღებდნენ), ხოლო ავტორებისა და გამომცემლებისათვის – ხელოვნურად შემჭიდროებული, რათა ძალზე ცოტა დრო ჰქონოდათ მათი შენიშვნების გათვალისწინებისათვის; მაგალითად: ექსპერტთა პირველი დასკვნები (ისიც ყველა წიგნზე არა) მხოლოდ 2018 წლის აპრილის ბოლოს მივიღეთ და სულ რამდენიმე დღე მოგვცეს შენიშვნების გათვალისწინებისათვის.

წაგვართვეს ექსპერტებთან შეხვედრისა და ჩვენი აზრის დასაბუთების უფლება. ისინი ჩვენთვის ბოლომდე ანონიმურად დარჩნენ. მათი დასკვნები, რაც არ უნდა სადავო (ხშირად არაკომპეტენტურიც) ყოფილიყო, უკრიტიკოდ უნდა მიგვეღო. არ იყო კომუნიკაციის საშუალება. ავტორები ბოლომდე დატუქსული მოსწავლეების როლში დავრჩით. არ გვქონდა ჩვენი მოსაზრების დასაბუთების შესაძლებლობა.

არ იყო აპელაციის საშუალება. უარყოფითი დასკვნა მე-5-მე-6 კლასების სახელმძღვანელოზე აპელაციის ვადების ამოწურვამდე ორიოდე დღით ადრე მივიღეთ. თანაც ჩვენთვის ბოლომდე გაუგებარი დარჩა, რომელ კომპონენტში რამდენი ქულა დაიმსახურა ჩვენმა ნამუშევარმა (სამინისტროს მიერ გადმოგზავნილ მასალებში მხოლოდ „ნედლი ქულები“ და „სუფთა წონა“ ჩანდა). სამინისტრომ იმისთვისაც კი არ შეიწუხა თავი, რომ რეალური ქულები დროულად ეცნობებინა ჩვენთვის.

გრიფირებულ სახელმძღვანელოთა პრეზენტაცია მოხდა სახელმძღვანელოების გარეშე. მასწავლებლებს წვდომა მხოლოდ ელექტროვერსიაზე ჰქონდათ, ელექტროვერსიით კი შეუძლებელია სახელმძღვანელოს ავ-კარგის შეფასება (მით უმეტეს, რომ გასაგები მიზეზების გამო ბევრ მასწავლებელს არ აქვს წვდომა ინტერნეტრესურსებზე).

ჩვენ შემთხვევაში დარღვეული იყო ანონიმურობაც და ამდენად, სხვა ავტორებთან შედარებით, აშკარად არასახარბიელო პირობებში აღმოვჩნდით. მართალია, საკონკურსო წიგნები ჩვენ მიერ საფუძვლიანად გადამუშავდა და განახლდა (რამდენადმე შეიცვლა საკითხავი მასალა, თავიდან ბოლომდე განახლდა მეთოდური აპარატი, ხელახლა დაიწერა მასწავლებლის წიგნები და მოსწავლის რვეულები, მე-5-მე-6 კლასებისათვის დაიწერა სრულიად ახალი სახელმძღვანელოები ქართულ ენაში, დაგვემატნენ ახალი ავტორები ახალი ხედვებითა და კონცეფციით...), მაგრამ საკონკურსო წიგნების „ამოცნობა“ ექსპერტს მაინც შეეძლო. ეს ნათლად გამოჩნდა მე-5-მე-6 კლასების „დასკვნაში“, სადაც ექსპერტი პირდაპირ მიუთითებს, რომელია ძველი მასალა და რომელია – ახალი. აქვე გვირჩევს, რომ ძველი მასალა საერთოდ არ უნდა დაგვეტოვებინა (რატომ არ უნდა დაგვეტოვებინა ი. გოგებაშვილის „იავნანამ რა ჰქმნა?“, ვაჟას „შვლის ნუკრის ნაამბობი“, ან ნ. დუმბაძის „ხაზარულა“... ეს ჩვენთვის გაუგებარია), ახალი ავტორები კი არ მოსწონს (რ. ინანიშვილი, გ. ჩოხელი...).

ჩვენი I-IV კლასების სახელმძღვანელოები გრიფის მიღების შემდეგაც ვერ მოხვდა ე.წ. „შესყიდვების“ სიაში. მიუხედავად იმისა, რომ მათზე მასწავლებელთა დიდმა ნაწილმა შეაჩერა არჩევანი და სექტემბერში სწორედ მათ ელოდა, მიიღო სულ სხვა წიგნი. ამით დაირღვა არა მხოლოდ გამომცემლობისა და ავტორების, არამედ მასწავლებლის უფლებაც – ასწავლოს იმ წიგნით, რომელიც მას მოსწონს. სამაგიეროდ „შესყიდვების სიაში“ აღმოჩნდა ის წიგნები, რომლებიც პირველ ეტაპზე გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების ნუსხაშიც კი არ იყო. სახელმძღვანელოების ფასი (ფულად ერთეულში გამოხატული) სამინისტროსათვის გაცილებით ღირებული აღმოჩნდა, ვიდრე მათი შინაარსობრივ-მეთოდური გამართულობა. ეს ფაქტიც თავისთავად გარკვეულ ეჭვებს გვიჩენს.

ამ ხარვეზების ჩამონათვალი შეიძლება კიდევ გავაგრძელოთ, მაგრამ ამჯერად ცალკე მინდა გამოვყო ექსპერტთა საკითხი. **ძალზე მიკერძოებულად და სუბიექტურად (და ხშირად არაკომპეტენტურადაც) მოჩანდა მათი დასკვნები.** გვაქვს დასაბუთებული ეჭვი, რომ ექსპერტები, ამ შემთხვევაში, წარმოადგენდნენ დაინტერესებულ მხარეს, რამდენადაც მათი შენიშვნები ხშირად თითიდან გახლავთ გამოწოვილი და არაკომპეტენტური (ზოგჯერ კურიოზულიც) და ზუსტად ემთხვეოდა ჩვენი ე.წ. „კრიტიკოსების“ აზრს. დავაკონკრეტებ – გრიფირების პროცესში ჩვენი სახელმძღვანელოების წინააღმდეგ ტელევიზიასა და სოციალურ ქსელებში დაიწყო „შავი პიარი“. ერთ-ერთ ნაკლად სწორედ ი. გოგებაშვილის პრინციპების გამოყენებას გვითვლიდნენ. ამას ვხედავთ ექსპერტთა დასკვნებშიც, სადაც ასევე ნაკლად გვითვლიან პირველ კლასში ი. გოგებაშვილის ტექსტების გამოყენებას (ასეთი ტექსტი კი 30-ზე მეტია): *„სასურველია გადაიხედოს და გადახალისდეს სახელმძღვანელოში გამოყენებული სასწავლო მასალა – ტექსტები, საბავშვო ნაწარმოებები შეიცვალოს მარტივი ბავშვისათვის გასაგები, მისი ლექსიკის გათვალისწინებით შერჩეული მრავალფეროვანი თამატიკის საკითხავი ტექსტები... 21-ე საუკუნის განათლება, პედაგოგიური პრინციპები და ხედვა, განხვავდება იმ ეპოქის* (საუბარია ი. გოგებაშვილზე) *მეთოდიკისაგან. კერძოდ, მოთხრობა „ერთი და ორი“... არ არის გათვალისწინებული ამ ტექსტის შეფარული მესიჯები, რომელიც პირდაპირ შეიძლება იყოს აღქმული პირველკლასელის მიერ... ის გაიგებს, რომ არ უნდა ილაპარაკოს და არ უნდა ჭამოს “.* (ენა და სტილი უცვლელია). ასეთ „შეფარულ მესიჯებს“ ხედავენ ისინი ი. გოგებაშვილის სხვა მოთხრობებშიც: „უსუნო ყვავილი“, „მენავეები“, „მუქთამჭამელა“... არაკორექტულად მიიჩნევს ექსპერტი იმ განცხადებასაც, რომ **„მშობლიური ენა, დედაენა ერთია, რამდენადაც არსებობენ ბილინგვური ბავშვები, რომელთათვისაც ორი ენა შეიძლება იყოს მშობლიური“**. მოკლედ, პატივცემულმა ექსპერტმა ასე მარტივად გადაწყვიტა ბილინგვიზმის პრობლემა, რომელიც ბოლომდე ნამდვილად არ გახლავთ გამოკვლეული, და თვით **ტერმინ „დედაენის“ არსებობაც გარკვეული ეჭვის ქვეშ დააყენა.**

ზოგიერთი შენიშვნა კურიოზულია. მაგალითად, არ მოსწონთ ფრაზა „ცუდი ამინდი“: „არსებობს ამინდის მიმართ სუბიექტური დამოკიდებულება, ვიღაცას მოსწონს წვიმა და ქარი, ვიღაცას არ მოსწონს... ამდენად, სიტყვა „ცუდი“ საგნის აღწერისათვის არ უნდა გამოვიყენოთ, ასეთი კატეგორიებით აღწერა არ არის მიზანშეწონილი“ (ეტყობა, პატივცემულ ექსპერტს დაავიწყდა, რომ „ცუდი ამინდი“ მოვლენაა და არა საგანი, თანაც ქართულში არსებობს სიტყვა **„ავდარი“**, ჩავთვალოთ იგი სუბიექტური აზრის გამომხატველად? ან საერთოდ ამოვიღოთ ქართული ენის ლექსიკიდან სიტყვა „ცუდი“, რადგანაც იგი სუბიექტურ აზრს გამოხატავს? რა ვუყოთ მაშინ სხვა ზედსართავებს: კარგი, ლამაზი... ისინიც ხომ სუბიექტურ აზრს გამოხატავენ?!). ამგვარ „შენიშვნებს“ მათ დასკვნებში მრავლად იხილავთ.

დაგვრჩა შთაბეჭდილება, რომ პატივცემული ექსპერტები არ იცნობენ სკოლას, განსაკუთრებით კი – პირველ კლასს, რადგანაც მიაჩნიათ, რომ პირველი კლასის სახელმძღვანელო მოსწავლის დამოუკიდებელი მუშაობისთვის არის განკუთვნილი, არ იციან, რომ აქ მინიმუმამდეა შემცირებული (ან საერთოდ გაუქმებული) საშინაო დავალებაც კი. ერთთავად გვსაყვედურობენ: **ბავშვს დამოუკიდებლად მათი შესრულება გაუჭირდებაო.** ვინ თქვა, რომ ეს სავარჯიშოები პირველკლასელმა დამოუკიდებლად უნდა შეასრულოს? რისთვის არის მასწავლებელი? კი, მეც ვიცნობ ახალ მეთოდებს, რომელიც პარტნიორობაზეა დამყარებული და მასწავლებელი აღარ არის გაკვეთილის წარმმართველი, მაგრამ პირველ კლასს ეს ნაკლებად ეხება. ამ ეტაპზე მოსწავლეს ჯერ კიდევ არ აქვს დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევა, იგი მასწავლებელმა უნდა გამოუმუშაოს. პირველ კლასში მხოლოდ დამოუკიდებელი მუშაობით არ ისწავლება არც წერა, არც კითხვა, არ მდიდრდება არც ლექსიკური მარაგი, არ ვითარდება მეტყველება. აქ პედაგოგია საჭირო. ვერ გავიგე: გაუქმდა უკვე მასწავლებლის თანამდებობა? წიგნები პირველი კლასიდანვე დამოუკიდებელი მუშაობისთვის უნდა შევადგინოთ? ვის სჭირდება დღეს მასწავლებლის როლის იგნორირება?!

ხშირად ექსპერტთა ნაწერებში გვხვდება ენობრივი შეცდომები. ერთი ნიმუში ზემოთაც შემოგთავაზეთ. მსგავსი შეცდომებისათვის აბიტურიენტებს ქულებს აკლებენ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე: მაგ. „ამ შემთხვევაში ჩვენ ვსაუბრობთ **ერთი და იგივე ხასიათის**, ნეგატიურ-სოციალური ქცევის ამსახველ შინაარსზე“, „ჩვენი სურვილი იყო მათი დროში დაშორება ან სხვა პოზიტიური ქცევის ამსახველი შინაარსით ჩანაცვლება, **რადგან** პირველკლასელი მოსწავლისათვის უფრო საინტერესო გახდეს წიგნი“... რა პრინციპით შეირჩნენ ეს ექსპერტები, რატომ ანდო მათ სამინისტრომ ასეთი მნიშვნელოვანი საქმე, რატომ გადაუხადა 6 თვის განმავლობაში ხელფასი, საერთოდ ჰქონდათ თუ არა მათ ფილოლოგიური განათლება, სკოლაში მუშაობის გამოცდილება... აი, კითხვები, რომლებიც ექსპერტთა დასკვნების (განსაკუთრებით I-IV კლასებისა) კითხვისას გვიჩნდება. ყველაფერი ეს გვიჩენს ეჭვის საფუძველს, რომ მათი ერთადერთი დანიშნულება ჩვენი წიგნების „ჩაყრა“ იყო.

აქვე გულისტკივილით აღვნიშნავთ, რომ ჩვენს ექსპერტებს აშკარად არ მოსწონთ ქართული საბავშვო ლიტერატურა, საკითხავი მასალა. ამაზე მიგვითითებს ის უამრავი შენიშვნა, რომლებიც მათ აქვთ ქართველი მწერლების (ი. გოგებაშვილის, ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, გ. ლეონიძის, რ. ინანიშვილის, გ. ჩოხელის...) მიმართ. არ სწყალობენ პატრიოტულ თუ ფასეულობით ღირებულებებზე დაწერილ ნაწარმოებებს და მათ ამოღებას გვირჩევენ (აქაც „შეფარულ მესიჯებს“ ხედავენ). განსაკუთრებული კრიტიკის ქარცეცხლში მოექცა რ. ინანიშვილის „კრეჭანა“ (თურმე ბავშვის უფლებებს არღვევს), ი. გოგებაშვილის „შოთა რუსთაველი“ (კატეგორიულად არ მოსწონთ ფრაზა: „ამ ქმნილებას აზის ბეჭედი გენიოსობისა“ – თურმე ბავშვი ვერ გაიგებს), მარტივი დარგობრივი ტექსტი „საიდან ვიცით ჩვენი ქვეყნის ისტორია“ (ბავშვს არ აინტერესებს მსგავსი საკითხებიო), ნ. დუმბაძის „ხაზარულა“ (აქ უკვე დავიბენით, ვერ მივხვდით, რატომ გვირჩევენ მის ამოღებას), ა. წერეთლის „მოსწავლე და მასწავლებელი“ (აქაც მოსწავლის უფლება ირღვევა: თურმე ბავშვისათვის ცოდნის ასოცირება მოხდება სასკოლო სწავლებასთან...), გ. ლეონიძის „სიყვარული მაშ გაქვს ვისი“ (თურმე მხატვრულად ძალიან სუსტია)... მოკლედ, ერთი ჩემი კოლეგის თქმისა არ იყოს, ამ „ექსპერტებმა“ სასწრაფოდ უნდა „დაატრეინინგონ“ (მათი საყვარელი ტერმინია) ჩვენი მწერლები: აუხსნან, როგორ წერონ, რა მხატვრული ხერხები გამოიყენონ, დაუკონკრეტონ – როგორი ნაწარმოებები აინტერესებთ ბავშვებს, რა „შეფარული მესიჯები“ არ უნდა მოდიოდეს მათი ნაწერებიდან, როგორ არ უნდა შელახონ ბავშვის უფლებები...

საბოლოოდ კი, როგორც განათლების დარგის სპეციალისტი, ვიტყოდი: არ შეიძლება არც ჩვენი პედაგოგიური მემკვიდრეობის და არც ჩვენი საბავშვო მწერლობის ასეთი ხელაღებით იგნორირება. მიმაჩნია, რომ ის უნარები, რომელთაც ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივი სტანდარტი ითვალისწინებს, მოსწავლეებს, პირველ რიგში, სწორედ ქართველი მწერლების ნაწარმოებების კითხვით უნდა გამოვუმუშაოთ. ქართულად კითხვა ბავშვმა ქართული მწერლობით უნდა ისწავლოს. ეს იყო ჩემი პოზიცია და ამ პოზიციაზე ვრჩები დღესაც.

ნათელა მაღლაკელიძე
განათლების მეცნიერებათა დოქტორი,
I-IV კლასების ქართული ენისა და ლიტერატურის
გრიფირებული სახელმძღვანელოების ავტორი

ინკლუზიური განათლება

ცვლილება, რომელიც სპეცმასწავლებლის პოზიციას გააძლიერებს

2018 წლის 20 ივლისს „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილების თანახმად, სპეცმასწავლებელს მასწავლებლის სტატუსი მიენიჭა. ცვლილების შემდეგ, სპეცმასწავლებლის ხელფასის დაანგარიშება, საჯარო სკოლის მასწავლებლის მსგავსად, სხვადასხვა კრიტერიუმების მიხედვით განისაზღვრება (განათლება, კვალიფიკაცია, სამუშაო სტაჟი და ა.შ.) და მათი საშუალო ხელფასი 400-500 ლარის ფარგლებში იქნება.

მთავრობის დადგენილებით, სსსმ მოსწავლის სწავლების ხელშეწყობისთვის ასევე იცვლება სკოლების დაფინანსება. კანონში შეტანილ ცვლილებებს სერიოზული პროცესები მოჰყვება, რაც ახალი პროფესიული სტანდარტის დამკვიდრებას, პროფესიული განვითარების სქემის ამოქმედებას და, ზოგადად, სპეცმასწავლებლის პოზიციის გაძლიერებას შეუწყობს ხელს.

რა პოზიტიურ ცვლილებებს უნდა ველოდოთ ინკლუზიური განათლების მიმართულებით და როდის ამოქმედდება სპეციალური მასწავლებლებისთვის პროფესიული განვითარების სქემა, ამ და სხვა დეტალებზე გვესაუბრება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის ინკლუზიური განათლების ხელშეწყობის პროგრამის მენეჯერი სალომე ჩარკვიანი.

– რა ცვლილებები შევიდა კანონში, რომელმაც ხარისხიან ინკლუზიურ განათლებას უნდა შეუწყოს ხელი?

– კანონში ორი უმთავარესი ცვლილება შევიდა, პირველი – სპეცმასწავლებელს მასწავლებლის სტატუსი მიენიჭა და მეორე – შეიცვალა ინკლუზიური განათლების განმარტება. რას გულისხმობს ეს და რატომ არის წინგადადგმული ნაბიჯი? აქამდე, როცა სისტემა ინკლუზიურ განათლებას ნერგავდა, რა თქმა უნდა, პირველი საზრუნავი იყო, რომ ის ბავშვები, რომლებიც სახლებში ისხდნენ და გარეთ გამოსვლის საშუალება არ ჰქონდათ, როგორმე სკოლებამდე მიგვეყვანა. სწორედ ამ კატეგორიის ბავშვებზე კეთდებოდა ძირითადი ორიენტირი – სსსმ მოსწავლის სტატუსის მინიჭება, მათი სკოლამდე მიყვანა და რესურსების შექმნა, რომლის შედეგადაც დღეს უკვე გვაქვს რეალობა, რომ სხვადასხვა საჭიროების მქონე ბავშვებს აქვთ საშუალება, იარონ სკოლებში.

სიახლე, რომელსაც კანონში შესული ცვლილება მოიტანს, იქნება მეტნაკლებად ყველა ბავშვის თანაბარი ჩართულობა საგანმანათლებლო სასწავლო პროცესში, რადგან, მოგეხსენებათ, რომ ინკლუზიური განათლება არ არის მხოლოდ სტატუსის მქონე ბავშვების განათლება. თითქმის ყველა სკოლას ჰყავს მოსწავლეები, რომლებსაც ერთი შეხედვით, არ აქვთ მკვეთრად გამოხატული საჭიროება და შესაბამისი სტატუსი, მაგრამ, გარკვეული მიზეზების გამო, ვერ ჯდებიან საგანმანათლებლო სივრცეში, ვერ მიჰყვებიან ზოგად ეროვნულ სასწავლო გეგმებს. ამის ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება იყოს სოციალური ფონი (ზოგ შემთხვევაში, ბავშვები სკოლაში იმის გამო ვერ დადიან, რომ მათზე უმცროს და-ძმებს უვლიან სახლში და ა.შ.). ამ დროს სისტემა მათ ვერც სსსმ მოსწავლის სტატუსს ანიჭებს და ვერც სათანადო დახმარებას უწევს. სისტემა მათ ვერ ხედავს იმის გამო, რომ არ აქვთ სსსმ მოსწავლის სტატუსი და, როგორც უკვე გითხარით, ძირითადად, სტატუსის მქონე მოსწავლეებზეა ფოკუსირებული. ამიტომ, ბუნებრივია ის დაბალი აკადემიური მოსწრება, რაც მათ მომავალზე, საბოლოო ჯამში, ძალიან ნეგატიურად აისახება. მაგალითად, ზოგიერთი სკოლასაც ვერ ამთავრებს.

ამ მიმართულებით კანონში განხორციელებული ცვლილება ძალიან დროული და საჭიროა. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რეგიონისა და ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რაიონების სკოლებისთვის, სადაც სტიგმა უფრო ღრმადაა ფეხმოკიდებული. მშობლები, ხშირ შემთხვევაში, უარს აცხადებენ მათი შვილებისთვის ასეთი სტატუსის მინიჭებაზე, მეტიც, არც კი მიმართავენ მულტიდისციპლინურ ჯგუფებს (ბუნებრივია, სხვადასხვა რეგიონებში სხვადასხვა მიზეზების გამო). უმეტეს შემთხვევაში, სამწუხაროდ, თავს იმის გამოც იკავებენ, რომ მათთვის სსსმ მოსწავლის სტატუსი შშმ პირის სტატუსთანაა გაიგივებული.

ეთნიკურ უმცირესობების მოსწავლეებში დაბალ აკადემიურ მოსწრებას სახელმწიფო ენის არცოდნაც განაპირობებს. ამ მიზეზით შექმნილი პრობლემები რეალურად გვაქვს. რეგიონების გარდა, მაგალითად, ორთაჭალაშიც არის სკოლა, სადაც მასწავლებელი ქართულად ხსნის ისტორიის გაკვეთილს, კლასში ნახევარზე მეტმა მოსწავლემ კი ქართული არ იცის და, თავისთავად, ვერც სწავლობს. ახალი განმარტებით, „ინკლუზიური განათლება არის განათლება ყველასთვის“, რაც საშუალებას მოგვცემს ხაზი გავუსვათ იმას, რომ სპეცმასწავლებელმა მხოლოდ სსსმ მოსწავლეებთან არ იმუშაოს, არამედ გახდეს მასწავლებელი, რომელიც მასწავლებელთან ერთად შევა კლასში, მოახდენს მოსწავლეთა საჭიროებების იდენტიფიცირებას და შემდეგ ამ საჭიროებების განხორციელებას.სტატუსები, რასაკვირველია, ისევ იქნება და მათთვის ისევ იმუშავებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, თუმცა, სპეციალური მასწავლებლის ფოკუსის არეალი ამგვარად გაფართოვდება.

– უფრო კონკრეტულად, ცვლილების თანახმად, როგორ უნდა წარმართოს სპეცმასწავლებელმა მუშაობა და რა არის საბოლოო მიზანი?

– რადგან სპეცმასწავლებელს მასწავლებლის სტატუსი მიენიჭა, ეს იმას ნიშნავს, რომ მათთვის უნდა შეიქმნას პროფესიული განვითარების სქემა, რომელზეც უკვე მიმდინარეობს მუშაობა და მასში ჩართვა ისეთივე საჭირო და სავალდებულო იქნება, როგორც დანარჩენი მასწავლებლებისთვისაა უკვე არსებულ სქემაში ჩართვა. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, კანონში შეტანილი ცვლილება სპეცმასწავლებელს, ასე ვთქვათ, საგნის გაკვეთილების ჩატარებას შეუზღუდავს.

იმის გამო, რომ სპეცმასწავლებელი ადამინისტრაციის წევრი იყო, ძალიან დაბალი ხელფასით და განვითარების საშუალების არქონით, სისტემა თვალს ხუჭავდა იმაზე, რომ ის მთელი კლასის კონტექსტში არ მუშაობდა. მას ჰყავდა მხოლოდ 1-დან 6-მდე სხვადასხვა სსსმ მოსწავლე, ამავდროულად, უფლება ჰქონდა, ჩვეულებრივ კლასში საგნის 10 საათი ჩაეტარებინა და დამატებითი ანაზღაურებაც მიეღო. კანონში განხორციელებული ცვლილებით კი ეს შეიცვალა და სპეცმასწავლებელს დამატებითი საათების ჩატარება აეკრძალა.

თავისთავად, ამ ცვლილებამ ძალიან ბევრი კითხვა გააჩინა , თუმცა ჯერჯერობით კონკრეტულ პასუხებს ვერ ვცემთ, რადგან დეტალები სწორედ ახლა მუშავდება. ძალიან ზოგადი გეგმა და ფართო სტრატეგია გვაქვს, რომელიც შედეგს რამდენიმე წელიწადში მოიტანს, თუმცა ამ გეგმას ნაბიჯ-ნაბიჯ მივყვებით.

დიდი სურვილი მაქვს, როცა მათთვის სქემა ამოქმედდება, ამას მოჰყვეს ცვლილება, რომელიც სპეცმასწავლებლის სპეციფიკას შეცვლის და ის არა მხოლოდ რესურსოთახში ამეცადინებს სსსმ მოსწავლეებს, არამედ იმ საკლასო ოთახში იმუშავებს თავის ძირითად მოსწავლესთან, სადაც ჩვეულებრივი გაკვეთილი მიმდინარეობს. ასეთ შემთხვევაში, მას საშუალება მიეცემა, იმუშაოს არა მხოლოდ საგანმანათლებლო ინკლუზიაზე, არამედ სოციალურზეც. იგი დააკვირდება საკლასო ფონს, მოსწავლის გარშემო შექმნილ ვითარებას, ხომ არ არის რომელიმე მოსწავლესთან ჩამორჩენა ან სხვა ტიპის პრობლემა და, ამავდროულად, ეცდება გაარკვიოს მიზეზები. აკადემიური ჩამორჩენის მქონე მოსწავლეები კი საკმაოდ ბევრი გვყავს. მსგავსი მუშაობის სტილი არის რეალურად სპეცმასწავლებლის მუშაობის მოდელი და ამ ცვლილებით ჩვენც სწორედ აქეთ მივდივართ.

თუკი ამისკენ მივდივართ და ვაღიარებთ, რომ ინკლუზია არის განათლება ყველასთვის და ამაში დიდია სპეცმასწავლებლის როლი, მაშინ როდის უნდა ჩაატაროს მან საათები, როცა ამავდროულად, სქემაშიც ჩაერთოს სრულ განაკვეთზე, მიიღოს სრული განაკვეთის ანაზღაურება, რაც იურიდიულადაც გაუმართავია. სრულ განაკვეთზე ორივეგან ვერ იმუშავებს.

თავისთავად, მომატებული ხელფასიც (საშუალო ხელფასი 400-დან 500 ლარამდე განისაზღვრა და პრაქტიკოსი მასწავლებლის სრული განაკვეთის ხელფასთან გათანაბრდა) არ არის საკმარისი. ეს გათანაბრება სრულ განაკვეთთან იმიტომაც მოხდა, რომ სხვაგვარად რთული იყო დარეგულირება, რადგან სპეცმასწავლებელი მხოლოდ გაკვეთილს არ ჩაატარებს, არამედ მთლიანად სასწავლო პროცესში იქნება ჩართული.

– ვინ უნდა იყოს სპეცმასწავლებელი, ამას კანონი არეგულირებს, მაგრამ ხომ არ არის სპეცმასწავლებლის დეფიციტის შექმნის საშიშროება, რადგანაც რეალურად ამდენი სპეციალისტი საქართველოში არ არსებობს?

– ჩვენ არ გვაქვს იმის ფუფუნება, რომ სპეცმასწავლებელი მხოლოდ ვიწრო სპეციალობით შევარჩიოთ, რადგან უნივერსიტეტები ვერ ამზადებენ კადრებს. სამწუხაროდ, წელს სამაგისტრო პროგრამამაც ვერ გაიარა აკრედიტაცია. ამიტომ, ძირითადად, სპეცმასწავლებლად მონათესავე სპეციალობების მქონე კადრები აჰყავთ, მაგალითად, განათლების ფსიქოლოგი, ფსიქოლოგი, სოციალური მუშაკი და ა.შ. შემდეგ მათი გადამზადების სრული დატვირთვა მთლიანად მასწავლებლის სახლზე მოდის.

– რა ხდება ამ მიმართულებით? პირველ რიგში, რამდენი სპეცმასწავლებელი ჰყავს საგანმანათლებლო სისტემას და რას აკეთებთ მათი პროფესიული ზრდისთვის?

– პირველ რიგში, აქცენტი კეთდება სპეცმასწავლებლის 120-საათიან ტრენინგ-კურსებზე, რომელიც შედგება ექვსი მოდულისგან – ეს არის სპეციალური მასწავლებლის პროფესიული განვითარების შესავალი კურსი. თავისთავად, ეს არ არის ვალდებულება, მაგრამ არის საჭიროება, რადგან როცა სქემა ამოქმედდება, მათთვის სავალდებულო გახდება სასერტიფიკაციო გამოცდების ჩაბარება. ცხადია, 120-საათიანი ტრენინგ-კურსგავლილი მასწავლებელი უფრო იოლად ჩააბარებს გამოცდას, რადგან, ძირითადად, საგამოცდო მასალა სწორედ ამ მოდულებზე იქნება დაფუძნებული.

რეგიონებში, ცენტრთან მოშორებული სკოლების გამო, ძალიან გვიჭირს ჯგუფების შეკვრა. ამიტომ ვაპირებთ, რომ რესურსცენტრებისთვის უფრო სტრუქტურირებული ვიდეომასალები მოვამზადოთ, გეგმაში გვაქვს აუდიოგაკვეთილებიც, რომელიც მათ ხელს შეუწყობს, მოემზადონ სასერტიფიკაციო გამოცდებისთვის.

ადრე მსურველებისთვის ტრენინგებზე რეგისტრაცია ცხადდებოდა, რაზეც წელს უარი ვთქვით. რესურსცენტრებიდან გამოვითხოვეთ ინფორმაცია იმ სპეცმასწავლებლების შესახებ, რომელთაც არ აქვთ გავლილი ტრენინგ-კურსები და ამის მიხედვით განვსაზღვრეთ, სად შეიძლება შევკრათ ჯგუფი. ტრენერებს პრიორიტეტების მიხედვით ვუშვებთ და წელს უკვე 6 ჯგუფთან ჩატარდა ტრენინგები. ბუნებრივია, პროცესი გაგრძელდება. რაც შეეხება გრაფიკს, მას მოდულების მიხედვით ვადგენთ, მაგალითად, ერთი მოდულის დასრულების შემდეგ რამდენიმედღიან შესვენებას ვაცხადებთ და შემდეგ მეორე მოდულს ვაგრძელებთ.

რაც შეეხება სპეცმასწავლებელთა რაოდენობას, 1500-ზე მეტი მასწავლებელი გვყავს, რაც, თავისთავად, ვერ დააკმაყოფილებს იმ მოთხოვნებსა და საჭიროებებს, რაც ქვეყანაშია. მათი დეფიციტი განსაკუთრებით თბილისის სკოლებში იგრძნობა, რადგან არის სკოლები, სადაც ბევრი სსსმ მოსწავლეა, თუმცა, მწირი დაფინანსების გამო სკოლა არ იყვანს დამატებით სპეცმასწავლებელს. ურჩევნიათ იმ მასწავლებელს დაუმატონ ანაზღაურება, რომელიც უკვე ჰყავთ. წელიწადში 6 სსსმ მოსწავლეზე მხოლოდ 350 ლარის ვაუჩერი იყო გათვალისწინებული და თუკი მეშვიდე ან მერვე მოსწავლე დაემატებოდა, სკოლა ახალი მასწავლებლის აყვანას ამ თანხით ვეღარ ახერხებდა. არადა, 7 ან 8 მოსწავლე ერთი სპეცმასწავლებლისთვის უკვე ძალიან ბევრია. კანონში ცვლილების თანახმად, ახლა ეს დაფინანსებაც გაიზარდა და ვიმედოვნებთ, ბიუჯეტის ზრდასთან ერთად (ცვლილების თანახმად, დაფინანასება 500 ლარი გახდება), ეს პრობლემებიც მეტ-ნაკლებად მოგვარდება.

– რამდენმა მასწავლებელმა გაიარა ტრენინგი?

– ზოგადად, ცენტრს გადამზადებული ჰყავს 600-ზე მეტი სპეცმასწავლებელი, თუმცა ზუსტად ვერ გეტყვით რამდენმა სპეცმასწავლებელმა გაიარა120-საათიანი ტრენინგი, რადგან უკვე გადამზადებული მასწავლებლების გადინება ხდება. როგორც კი კადრი ძლიერდება, სკოლას ტოვებს და უფრო მაღალანაზღაურებად სამსახურს პოულობს, რომ არა ასეთი შემთხვევები, ჩვენ მიერ დატრენინგებული მასწავლებლების დაფარვა გაცილებით მეტი იქნებოდა. სერიოზული პრობლემაა გადამზადებული კადრების დაკავება, თუმცა იმედი გვაქვს, სქემაში ჩართვით მათი ხელფასის ზრდის შესაძლებლობაც გაიზრდება და ეს პრობლემაც შემცირდება.

ინკლუზიური განათლება

– როგორც ცნობილია, სპეციალიზებულ სკოლებს სახელი შეეცვალა და რესურსსკოლები დაერქვა. ეს მხოლოდ სახელის ცვლილებაა?

– სპეცსკოლებს გასულ წელს ჩამოართვეს სტატუსი და გახადეს საჯარო სკოლები. ახლა ამ სტატუსის დაბრუნება მოხდა, უბრალოდ, რესურსსკოლა იმიტომ დაერქვა, რომ ეს ნაკლებ სტიგმატიზაციას იწვევს საზოგადოებაში და გარდა ამისა, ამ სკოლებს ექნებათ შესაძლებლობა, გახდნენ ძირითადი რესურსის ბაზა სხვადასხვა საჯარო სკოლაში ჩარიცხული მოსწავლეებისთვის, საჭიროების მიხედვით.

– რამდენად არიან სკოლები უზრუნველყოფილი სასწავლო რესურსით, სახელმძღვანელოებით და თვალსაჩინოებით?

– ამ მიმართულებით განათლების სამინისტრო ზრუნავს და, რამდენადაც მაქვს ინფორმაცია, ბეჭდავს სახელმძღვანელოებს, მაგალითად, უსინათლო მოსწავლეებისთვის ბრაილის შრიფტით. ამის გარდა, სკოლები თავად ზრუნავენ თვალსაჩინოებასა და სხვადასხვა სახის რესურსის შეძენაზე, რადგან მათ სპეცმასწავლებლის ხელფასის გადახდის გარდა, ვალდებულება აქვთ, სკოლა და რესურსოთახი საჭირო სასწავლო რესურსით აღჭურვონ. ეს არ კეთდება ცენტრალიზებულად, რადგან ყველა სკოლა თავად იღებს გადაწყვეტილებას, არსებული საჭიროებიდან გამომდინარე. ბევრი მასწავლებლისგან მსმენია, რომ დირექტორი ძალიან ეხმარება საჭირო რესურსის შეძენაში, თუმცა, ისიც გამიგია, რომ ზოგიერთ სკოლაში სპეცმასწავლებლები საჭირო სასწავლო რესურსებს საკუთარი ანაზღაურებით ყიდულობენ ან თავად ქმნიან.

– თქვენი აზრით, რა არის ყველაზე დიდი გამოწვევა, რაც დღეს სპეცმასწავლებლის წინაშე დგას, მხოლოდ სტატუსის მინიჭება ხომ ვერ უზრუნველყოფს ხარისხიან ინკლუზიურ განათლებას?

– პირველ რიგში, ყველაზე დიდი გამოწვევა იყო ის, რომ მათთვის აქამდე პროფესიული განვითარების სქემა არ არსებობდა და ძალიან მახარებს, რომ ამ მასწავლებლებს პროფესიული ზრდის შესაძლებლობას მივცემთ. სიმართლე გითხრათ, სტატუსის მინიჭება სქემის ამოქმედებისთვის უფრო მომწონს, ვიდრე იმის გამო, რომ მათ ამით ხელფასი მცირედით გაეზარდათ. უმნიშვნელოვანესია მათი პროფესიული განვითარების სისტემაში მოქცევა. სხვა სიკეთესთან ერთად, კვალიფიკაციის ამაღლება ხელფასის ზრდის პერსპექტივასაც გააჩენს, რაც მთავარია, ამით სპეცმასწავლებლის მოტივაცია ამაღლდება.

ჩემი აზრით, მეორე მნიშვნელოვანი გამოწვევა, რომელიც დღეს სპეცმასწავლებელს სკოლაში აქვს, მათ მიმართ დამამცირებელი დამოკიდებულებაა. როგორც წესი, დანარჩენი მასწავლებლები მათ რეკომენდაციებს არ ითვალისწინებდნენ (რა თქმა უნდა, სკოლას გააჩნია, მე უფრო ზოგად ფონზე ვსაუბრობ). რამდენიმე სპეცმასწავლებლის ჩივილს გაგანდობთ, ამბობენ, რომ ხშირად სკოლაში მათ ძიძებად აღიქვამენ და მასწავლებლები ავალებენ, ბავშვებს მიხედონ, რომ გაკვეთილზე ხელი არ შეუშალონ, იმის ნაცვლად, რომ სასწავლო პროცესში ჩართონ. დიდი იმედი მაქვს, სტატუსის ცვლილება ასეთი დამოკიდებულების ცვლილებასაც მოიტანს.

მესამე, ასევე ძალიან მნიშვნელოვანი საკითხი მათი კომპეტენციაა, თუმცა, რამდენადაც ვაკვირდები, ჩვენ შემთხვევაში, კომპეტენციაზე უფრო დიდი პრობლემა მათი ცნობიერებაა. შეიძლება ყველა მასწავლებელმა არ იცოდეს მეთოდი, როგორ იმუშაოს კონკრეტულ მოსწავლესთან, მაგრამ თუკი მას სწორი დამოკიდებულება აქვს, რაღაც ისწავლოს იმისთვის, რომ ბავშვი შედეგზე გაიყვანოს, ასეთ შემთხვევაში, გაცილებით უკეთესადაა საქმე, ვიდრე მაშინ, როცა მასწავლებელს უფრო მაღალი კომპეტენცია აქვს დადასტურებული, მაგრამ ცნობიერებასთან დაკავშირებული პრობლემების გამო, ერთი სული აქვს, როდის დამთავრდება გაკვეთილი.

– სავარაუდოდ, როდის ამოქმედდება სპეციალური მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემა?

– დიდი იმედი მაქვს, სქემის დანერგვა ამ სემესტრში დაიწყება. იმედია, ამ ცვლილებებს, საბოლოო ჯამში, ყველა დადებითად აღიქვამს, რადგანაც ხშირად, როცა რეფორმის ფარგლებში ნაბიჯებს ვდგამთ და სიახლეს ვამკვიდრებთ, საზოგადოების ნაწილში ეს უკმაყოფილებას იწვევს, სკეპტიკურად უყურებენ. მასწავლებლების მხრიდან ახლაც მოჰყვა გარკვეული უკმაყოფილება, მაგალითად, დამატებითი საათობრივი დატვირთვის შეზღუდვის გამო. ხანდახან მასწავლებლის და მოსწავლის ინტერესები ერთმანეთს არ ემთხვევა, ძალიან მტკივნეულია, მაგრამ ამ შემთხვევაში უპირატესობა მოსწავლის მხარეს იხრება. სწორედ ასეთი შემთხვევაა მასწავლებლების მხრიდან გამოხატული უკმაყოფილება დამატებითი საათების შეთავსების აკრძალვის გამო. მაგრამ ეს ყველა მასწავლებელს არ ეხება, რადგანაც არიან სპეცმასწავლებლები, რომლებიც ამ ნაბიჯს ეთანხმებიან და ამბობენ, რომ უმჯობესია მათ თავისი შესაძლებლობები მაქსიმალურად სსსმ მოსწავლეს მოახმარონ და გაზრდილი ხელფასიც ამაში აიღონ. იმ პედაგოგებს, რომლებიც აცხადებენ, რომ სხვა საათების ჩატარებასაც ახერხებდნენ, კიდევ ერთხელ შევახსენებ, რომ მათი სამუშაო ბევრად საინტერესო გახდება, დაემატებათ სხვადასხვა სახის საქმე, რომელიც მეტად განავითარებს მათ. გული დამწყდება თუკი სპეცმასწავლებლები, რომლებიც ამავდროულად სერტიფიცირებული არიან სხვადასხვა საგნებში, არჩევანს ინკლუზიური განათლების სასარგებლოდ არ გააკეთებენ. ჩვენ ამით ბევრ კვალიფიციურ სპეცმასწავლებელს დავკარგავთ. მეორე მხრივ კი, მათი სახით, ამ რესურსს დაკარგულად არ ვთვლი – იდეალური შემთხვევაა, როდესაც მასწავლებელს, იმავდროულად, სპეცმასწავლებლის კომპეტენცია აქვს.

ესაუბრა ლალი ჯელაძე

ინფორმაცია

ქვეყნის საუკეთესო მასწავლებლის ტიტულის მოსაპოვებლად

„მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს“ ფინალისტების ვინაობა 5 სექტემბერს გახდა ცნობილი. ჟიურიმ გამოავლინა ხუთეული, რომელთაგან ერთ-ერთი, 5 ოქტომბერს, ქვეყნის პირველი მასწავლებლის წოდებას მიიღებს. გამარჯვებული მართალია ერთი იქნება, მაგრამ მათ ყველას უპირობოდ უმთავრესი რამ აერთიანებთ – მაღალი პროფესიონალიზმი, სწავლებისადმი ინდივიდუალური მიდგომა და პროფესიის სიყვარული, რომელიც მასწავლებლობისთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია. ხუთეულის წარდგენას დიდი მღელვარებით ელოდა მასწავლებელთა კორპუსი, საზოგადოება, რომელიც თვალს ადევნებდა ქვეყნის საუკეთესო მასწავლებლის გამოვლენის პროცესს და განსაკუთრებით ჯილდოს ათეული. ეროვნული ჯილდოს ადმინისტრაციამ ფინალისტების ვინაობა ვიდეორგოლით, პროფესიონალიზმით გამორჩეულმა ცნობადმა საახეებმა და დარგის სპეციალისტებმა წარადგინეს.

ელისო აბრამიშვილი, საჩხერის №2 საჯარო სკოლის ქიმიის მასწავლებელი მინისტრის მოადგილემ, **ირინა აბულაძემ** ასე წარადგინა: *„მასწავლებელი, რომელმაც უკვე არაერთგზის გამოავლინა თავი, როგორც გამორჩეულმა პედაგოგმა და პიროვნებამ საკუთარ კოლეგებში და მშობლებში. ინდივიდუალური მიდგომით, პრაქტიკული სწავლებით იგი ახერხებს აუმაღლოს მოსწავლეებს მოტივაცია და საუკეთესო შედეგებზე გაიყვანოს ისინი. აღსანიშნავია, რომ საკუთარი საქმიანობით მას წვლილი შეაქვს არა მხოლოდ საგნის, არამედ ზოგადად სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესებაში.“*

ჯაბა ლაბაძე, ხაშურის მუნიციპალიტეტის დაბა სურამის საჯარო სკოლის ისტორიის მასწავლებელი მთამსვლელმა **ბიძინა გუჯაბიძემ** დაასახელა: *„მოხარული ვარ, რომ მონაწილეობას ვიღებ საქართველოს მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს 2018 წლის კონკურსანტების გამოცხადებაში. მასწავლებელი ყველაზე მნიშვნელოვანი ადამიანია ცხოვრებაში, მშობლის შემდეგ. საუკეთესო ხუთეულის წევრია მასწავლებელი, რომელსაც სწავლების გამორჩეული, შეიძლება ითქვას, უნიკალური მეთოდი აქვს, მოსწავლეებს ეხმარება მრავალმხრივი უნარების განვითარებაში. რაც მთავარია, ბავშვებს ასწავლის რას ნიშნავს გიყვარდეს შენი ქვეყანა და ამას საქმით აკეთებდე, იმავდროულად, კრიტიკულად იაზრებდე მის წარსულსა და აწმყოს.“*

ლელა კოტორაშვილი, წმინდა გიორგის სახელობის საერთაშორისო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი – პოეტმა **რატი ამაღლობელმა** ამ მასწავლებლის განსაკუთრებულობა ადამიანობისა და ზნეობის ლიტერატურის სიყვარულით სწავლებას დაუკავშირა: *„მოხარული ვარ წარმოგიდგინოთ „მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს“ ხუთეულის წევრი. წარმოგიდგენთ მასწავლებელს, რომელსაც ძალიან საინტერესო სამასწავლებლო ისტორია აქვს. არც თუ ისე დიდი ხნის წინ მან პედაგოგობა სოფლის სკოლაში დაიწყო და დიდი საქმეებიც აკეთა. შედეგად, დღეს უკვე საკუთარ მიდგომებს ავითარებს და საკუთარი პიროვნული მაგალითით დიდ გავლენას ახდენს ბავშვებზე. რაც მთავარია, წიგნისა და ლიტერატურის სიყვარულით ადამიანობასა და აზროვნებას ასწავლის.“*

დაჩი ნანობაშვილი, თბილისის ქართულ-ამერიკული განათლების ცენტრის, სკოლა „ჰამილტონის“ მათემატიკის მასწავლებელი მსახიობმა **ნინო კასრაძემ** ასე წარადგინა: *„წარმოგიდგენთ მასწავლებელს, რომელიც ძალიან ადრე შეუერთდა ამ პროფესიას, 17 წლის ასაკიდან. დღეს მისი, როგორც მასწავლებლის, გავლენა სცილდება უკვე ერთ სკოლას და უამრავ მოსწავლეს მოიცავს. ამ პედაგოგს მიაჩნია, რომ ყველა მოსწავლეს შეუძლია მიაღწიოს წარმატებას და რომ მასწავლებლის მოვალეობაა გააღვივოს ინიციატივა და მოტივაცია მოსწავლეში. სწორედ ამიტომ არ აყოვნებს შედეგი და მისი მოსწავლეები აღწევენ წარმატებას.“*

მანანა კაპეტივაძე, ქალაქ ბაღდათის №2 საჯარო სკოლის ინგლისური და რუსული ენების მასწავლებელი – ამ ფინალისტ პედაგოგს კი წილად ხვდა რომ მისი ვინაობა სახალხო დამცველს, **ნინო ლომჯარიას** დაესახელებინა: *„მოხარული ვარ, წარმოგიდგინოთ საუკეთესო ხუთეულის ერთ-ერთი წევრი, რომელიც გამოირჩევა სწავლების პროცესში შემოქმედებითი მიდგომით და მისთვის შეუძლებელი არაფერია. მისი აზრით, მასწავლებლის მთავარი ფუნქცია არა მხოლოდ საგნის სწავლება, არამედ მოსწავლეებში ღირებულებების ჩამოყალიბებაა. სწავლებისას იგი ქმნის თავისუფალ და სახალისო გარემოს და ეხმარება მოსწავლეებს მიაღწიონ განსაკუთრებულ შედეგებს.“*

ლალი ჯელაძე

სკოლის ექსტერნი გამოცდების განრიგი 2018 წლისთვის
მე-12 კლასში შემავალი საგნები

მე-12 კლასში შემავალი საგნის/საგნების – ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ისტორია, ინგლისური ენა, სამოქალაქო თავდაცვა და უზრუნველყოფა – ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროგრამის/პროგრამების ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდების ჩატარების განრიგი დამტკიცდა.

მინისტრის ბრძანების თანახმად, ექსტერნატის გამოცდები ცენტრალიზებულად (საგანმანათლებლო რესურსცენტრებში), პირველ სესიებად ელექტრონული ფორმით ჩატარდება.

განრიგი საგნების მიხედვით:

- **ქართული ენა და ლიტერატურა** – 11 სექტემბერი (10:00 საათი)
- **მათემატიკა** – 12 სექტემბერი (10:00 საათი)
- **ისტორია** – 13 სექტემბერი (10:00 საათი)
- **სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება** – 14 სექტემბერი (10:00 საათი)
- **ინგლისური ენა** – 15 სექტემბერი (10:00 საათი)

ინფორმაცია

გზა ევროპული უნივერსიტეტებისკენ

ევროპული სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოების მოლაპარაკებების საკითხებში ევროკომისრის, **იოჰანეს ჰანის** ინიციატივით და ევროკავშირის დაფინანსებით, საქართველოში აღმოსავლეთ პარტნიორობის ევროპული სკოლა გაიხსნა.

გახსნის ცერემონიალზე დამსწრე სტუმრებს სიტყვით მიმართა განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა, **მიხეილ ბატიაშვილმა**, რომლის თქმით, ეს მნიშვნელოვანი მოვლენა საქართველოს ისტორიული არჩევნის – ევროპული ოჯახისკენ სწრაფვის კიდევ ერთი, ძალიან მნიშვნელოვანი აღიარებაა.

ევროპული სკოლა საქართველოში პირველია, რომელიც ევროკავშირის ქვეყნების ფარგლებს გარეთ დაფუძნდა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების 16-17 წლის მოსწავლეებისთვის ევროპული ხარისხის საშუალო განათლებას უზრუნველყოფს. მოსწავლეები, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებიდან, მათი აკადემიური მოსწრების საფუძველზე შეირჩევიან და შესაბამის სტიპენდიებს მიიღებენ. უპირატესობა მიენიჭებათ სოციალურად დაუცველ წარჩინებულ მოსწავლეებს. ევროპული სკოლის კურსდამთავრებულები ევროპული დონის საერთაშორისო ბაკალავრის დიპლომს მიიღებენ.

მიხეილ ბატიაშვილის თქმით, ახალი სკოლა იქნება მულტიკულტურული სასწავლო და საცხოვრებელი გარემო საინტერესო არაფორმალური საგანმანათლებლო პროგრამებით. ეს იქნება შესაძლებლობა ახალგაზრდებისთვის, ისწავლონ და იცხოვრონ იმ რეალობაში, რომელიც ევროკავშირის უმთავრეს ფასეულობას – მრავალფეროვნებაში ერთიანობას ეფუძნება.

აღმოსავლეთ პარტნიორობის ევროპული სკოლის ფუნქციონირების მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, ევროპელ და აღმოსავლეთ ევროპის პარტნიორებთან ერთად, აგრძელებს მუშაობას სკოლის გრძელვადიან მოდელზე, რომლის განხორციელება ევროკომისიის თანადაფინანსებით მოხდება.

2018 წლის გაზაფხულზე გამოცხადებული კონკურსის შედეგად, 2018-2019 სასწავლო წლისთვის ევროკომისიამ აღმოსავლეთ პარტნიორობის 6 ქვეყნიდან 30 მოსწავლე შეარჩია: სომხეთი (4), აზერბაიჯანი (2), ბელორუსი (4), საქართველო (8), მოლდოვა (5), უკრაინა (7).

აღმოსავლეთ პარტნიორობის პირველი ევროპული სკოლის თბილისში გახსნას ამბიციური პროექტი უწოდა იოჰანეს ჰანმა და აღნიშნა, რომ: *„ჩვენი პასუხისმგებლობაა, დაგეხმაროთ თქვენი უნარების განვითარებასა და შესაძლებლობების შექმნაში, რომ თქვენი პოტენციალი გამოიყენოთ. ამისთვის გადავწყვიტეთ ამბიციური პროექტის განხორციელება, ბევრი ამას ზედმეტად ამბიციურად მიიჩნევდა. თუმცა, მე ყოველთვის მჯეროდა, რომ აღმოსავლეთ პარტნიორობის სკოლა წარმატებული რეგიონული თანამშრომლობის სიმბოლო იქნებოდა.“*

ევროკომისიისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს გადაწყვეტილებით, ევროპის „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ სკოლა, პირველ ეტაპზე, დროებით, კერძო სკოლის „ახალი სკოლა“ ბაზაზე იმუშავებს.

სკოლის გრძელვადიან პროექტზე მუშაობა, აღმოსავლეთ ევროპის პარტნიორებთან ერთად, სამომავლოდ, აქტიურად გაგრძელდება. ამის დაპირება პრემიერ-მინისტრმა სკოლის საზეიმო გახსნაზე წარმოთქვა. ახალი შენობა კი იმ ტერიტორიაზე აშენდება, რომელსაც თბილისის მერია გამოყოფს.

მინისტრმა განაცხადა, რომ აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მოზარდებისთვის, განსაკუთრებით კი სოციალურად დაუცველი წარჩინებული მოსწავლეებისთვის ეს იქნება უნიკალური შანსი, საერთაშორისო სასწავლო პროგრამების საშუალებით მიიღონ ევროპული ხარისხის განათლება.

ექვსი ქვეყნის 30 სტუდენტი სწავლასა და ცხოვრებას თბილისში უფასოდ შეძლებს, მათ სპეციალური კონკურსი გაიარეს, რომელიც რამდენიმე ეტაპს მოიცავდა. დამამთავრებელი კლასის ახალგაზრდებს სკოლა მაღალი ხარისხის განათლებას, ინოვაციურ აკადემიურ კურსებსა და კლასგარეშე აქტივობებს სთავაზობს.

ალექსანდრა ვოლჩუკი: *„ამ პროგრამას ბევრი უპირატესობა აქვს: პირველი – შეგიძლია ევროპაში ისწავლო, მეორე – სწავლის განსხვავებული სისტემაა, რეალურ ცოდნას გაძლევენ, რაც ცხოვრებაში გამოგადგება.“*

ქეთევან სიხარულიძე: *„ჩვენ ვისწავლით ევროპული პროგრამით, რასაც ჰქვია საერთაშორისო ბაკალავრიატის აიბი დიპლომის პროგრამა, რომელიც საკმაოდ რთულია.“*

სტუდენტებს, რომლებიც მულტიკულტურულ გარემოში ისწავლიან და იცხოვრობენ, ევროკომისარმა აუხსნა, რომ განათლებაში ინვესტირება ევროკავშირისთვის მნიშვნელოვანი პასუხისმგებლობაა. მისივე განცხადებით, გასულ წელს, აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტზე, ევროპული სკოლა უპირველეს პრიორიტეტად დამტკიცდა და ახალგაზრდების მხარდაჭერისთვის 340 მილიონი ევრო გამოიყო. მისივე თქმით, ეს საპილოტე პროექტია და, რასაკვირველია, პირველ პროექტში ბევრი უნდა ჩადო, რომ დასახულის რეალიზება მოახდინო. *„ევროპული სკოლის რეალიზაციის იდეა მიმართულია იმისკენ, რომ მულტილინგვისტური პროგრამები შესთავაზოს საქართველოს, რადგან ევროპაში მრავალენოვანი გარემო არსებობს და ევროპაში წარმატებისთვის რამდენიმე ენის ფლობაა საჭირო. ევროპაში მულტიკულტურული, მრავალწახნაგოვანი ისტორია არსებობს და ძალიან მნიშვნელოვანია ახალგაზრდებისთვის ამის მიწოდება.*

ჩვენ ამ სკოლისთვის შევარჩიეთ საქართველო და მოხარული ვარ, რომ საქართველოს ხელისუფლების მხრიდან ასეთი ძლიერი მხარდაჭერა მოვიპოვეთ. ეს გულისხმობს საქართველოსა და ევროპას შორის ურთიერთობის შემდგომ გამყარებას და თუ აღნიშნული პროექტი წარმატებულად განხორციელდა, მის ტირაჟირებას მოვახდენთ როგორც ევროპის, ასევე სხვა ქვეყნებშიც. აღნიშნული ინიციატივა როგორც საქართველოს, ასევე მეზობელი ქვეყნების ახალგაზრდებს მისცემს შესაძლებლობას, დახვენონ თავიანთი ცოდნა და შემდეგ იქნება გზა ევროპული უნივერსიტეტებისკენ.“ – განაცხადა იოჰანეს ჰანმა.

მოამზადა ლალი ჯელაძემ

საერთაშორისო ოლიმპიადა

ქართველი მოსწავლეების წარმატება

მათემატიკის საერთაშორისო ოლიმპიადაზე საქართველომ ერთ-ერთი საუკეთესო შედეგი აჩვენა.

ერთი ვერცხლისა და 5 ბრინჯაოს მედლით დაბრუნდა ექვსი მოსწავლისაგან შემდგარი საქართველოს ნაკრები გუნდი მათემატიკის 59-ე საერთაშორისო ოლიმპიადიდან, რომელიც 7-14 ივლისს რუმინეთის ქალაქ კლუჟ ნაპოკაში გაიმართა.

მათემატიკის საერთაშორისო ოლიმპიადის გამარჯვებული ნაკრები კომაროვის ფიზიკა-მათემატიკური სკოლის მოსწავლეებით იყო დაკომპლექტებული: **საბა ლეფსვერიძე, ნიკა ბირკაძე, თემო თოლორაია, სანდრო ხოხიაშვილი, დიმა კორკოტაშვილი** და **ლუკა მუშკუდიანი**. მათგან საბა ლეფსვერიძე გახდა ვერცხლის მედლის მფლობელი ხოლო დანარჩენმა მოსწავლეებმა ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს.

გუნდს ხელმძღვანელობდნენ: ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, ასისტენტი პროფესორი, ლიდერი **გიორგი ჭელიძე**; თანალიდერი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, ასისტენტი პროფესორი **გივი ნადიბაიძე**; ასისტენტი, აღნიშნული ოლიმპიადის IMO 2017 წლის ოქროს მედალოსანი (ინდივიდუალური შედეგი – მე-5 ადგილი 630 მოსწავლეს შორის) **ალექსანდრე საათაშვილი**.

მათემატიკის საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადებისათვის საქართველოს ნაკრები გუნდის წევრები 2018 წლის ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის მესამე ტურის შედეგებისა და შესარჩევი ტურების შედეგად შეირჩნენ.

საქართველოს მოსწავლეთა ნაკრებმა საერთაშორისო ოლიმპიადაზე ბრწყინვალე შედეგი აჩვენა. 12 ივლისს, ჩვენმა ბიჭებმა, ექვსივემ მედალი აიღეს. საქართველომ აჯობა, ისეთ განვითარებულ ქვეყნებს, როგორიცაა გერმანია, საფრანგეთი, ესპანეთი, ბრაზილია, ნორვეგია, ინდოეთი და სომხეთი.

მათემატიკის საერთაშორისო ოლიმპიადაში წელს 107 ქვეყნის მოსწავლეები მონაწილეობდნენ. ოლიმპიადაზე საქართველოს გუნდმა ერთ-ერთი საუკეთესო შედეგი აჩვენა და 252 შესაძლებელიდან 212 ქულა მოიპოვა. გუნდურ ჩათვლაში საქართველოს მოსწავლეთა ნაკრებმა 27-ე ადგილი დაიკავა.

კომაროველი ნიკა ბირკაძე ინფორმატიკის საერთაშორისო ოლიმპიადაზე საუკეთესო ოთხეულში შევიდა.

ინფორმატიკის 30-ე საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადიდან (IOI 2018), რომელიც იაპონიაში, ქალაქ ცუკუბა-იბარაკში გაიმართა, ოქროს მედლებით დაბრუნდნენ კომაროვის ფიზიკა-მათემატიკური სკოლის მოსწავლეები **ნიკოლოზ ბირკაძე** (მე-10 კლასი) და **გიორგი კლდიაშვილი** (მე-12 კლასი). ქართველი მოსწავლეები 340 მონაწილიდან 16 საუკეთესოში მოხვდნენ, ხოლო ნიკოლოზ ბირკაძე, ერთ ამერიკელ და ორ ჩინელ მოსწავლესთან ერთად, მსოფლიოს უძლიერეს ოთხეულში შევიდა.

საქართველოს ნაკრებმა 2 ოქროს მედალი მოიპოვა და 16 საუკეთესო ნაკრების სიაში მოხვდა. საქართველოს ნაკრებმა აქამდე არნახულ წარმატებას მიაღწია და იაპონიაში იმდენივე ოქროს მედალი აიღო, რაც აქამდე 22 ოლიმპიადაზე ერთად ჰქონდა აღებული. საქართველოს ნაკრებისთვის ეს ოლიმპიადა რიგით 23-ე იყო და ამ ხნის მანძილზე ჩვენს მოსწავლეებს 2 ოქროს, 10 ვერცხლის და 33 ბრინჯაოს მედალი ჰქონდათ მოპოვებული. საქართველოს ნაკრების წევრები არიან: ნიკა ბირკაძე, გიორგი კლდიაშვილი, სანდრო ხოხიაშვილი, ვანო გამეზარდაშვილი.

ოლიმპიადა ორ ეტაპად ტარდებოდა. თითოეულ ეტაპზე მოსწავლეებს სამი დავალება უნდა ამოეხსნათ, რაც ორგანიზატორების მოთხოვნათა შესაბამისი პროგრამის შექმნას გულისხმობდა. თითოეული ამოცანის ამოხსნაზე მონაწილეებს ენიჭებოდათ ქულები 1-დან 100-ის ჩათვლით.

ნიკა ბირკაძემ, რომელიც ოლიმპიადაში გამარჯვებულებს შორის ყველაზე პატარაა, ინფორმატიკის საერთაშორისო ოლიმპიადაზე საუკეთესო ოთხეულში შევიდა, 88 ქვეყნის 343 მოსწავლეთა შორის 600 შესაძლებლობიდან 463 ქულა მოაგროვა და ამ შედეგით შარშან ნაჩვენები 47-ე ადგილი მე-4 ადგილზე, ხოლო შარშანდელი ვერცხლი, წელს, ოქროზე გადაცვალა. ნიკოლოზი მეორე და მესამე ადგილზე გასულ ჩინელ მოსწავლეებს მცირედით, შესაბამისად, ექვსი და სამი ქულით ჩამორჩა. პირველ ადგილზე გასულმა აშშ-ს წარმომადგენელმა **ბენჟამინ ჩინმა** 499 მოაგროვა. მან ინფორმატიკისა და მათემატიკის საერთაშორისო ოლიმპიადებში მიიღო მონაწილეობა და ამბობს, რომ ძალიან გახარებულია ორივე ოლიმპიადაზე მოპოვებული მედლებით.

ინფორმატიკის ოლიმპიადების ბრინჯაოს და ორი ვერცხლის მედლის მფლობელმა **გიორგი კლდიაშვილმა** გატეხა ნავსი და თავის მეოთხე ოლიმპიადაზე ოქროს მედალს დაეუფლა. გიორგი პირად ჩათვლაში, 365 ქულით, მე-16 ადგილზე გავიდა.

შარშანდელზე უკეთ იასპარეზა აგრეთვე **ალექსანდრე ხოხიაშვილმა**, მან 185 ქულით (მაქსიმალურად შესაძლო ქულათა 30,8%) 172 ადგილი დაიკავა. მისთვის ეს მეორე ოლიმპიადაა.

ნაკრების კიდევ ერთმა წევრმა, ოლიმპიადის დებიუტანტმა, **ვანო გამეზარდაშვილმა** 160 ქულით 198-ე ადგილი დაიკავა.

აღსანიშნავია, რომ ოლიმპიადაზე მხოლოდ ჩინეთის ნაკრებმა შეძლო ოთხი ოქროს მედლის მოპოვება (მე-2, მე-3, მე-6 და 24-ე ადგილებით), ხოლო აშშ-ს და სამხრეთ კორეის ნაკრებმა გუნდებმა სამ-სამი ოქროს მედალი (შესაბამისად, პირველი, მე-9, მე-13 და მე-12, მე-17, მე-19 ადგილებით). ორ-ორი ოქროს მედალი, საქართველოს ნაკრები გუნდის მსგავსად, მოიპოვეს ბელორუსის (მე-5 და მე-20 ადგილებით), იაპონიის (მე-6 და მე-17 ადგილებით), რუსეთის (მე-11 და 21-ე ადგილებით), პოლონეთის (23-ე და 26 ადგილებით) ნაკრებმა გუნდებმა.

საქართველოს ნაკრები გუნდის ოთხივე მონაწილე ვლადიმირ კომაროვის სახელობის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის №199 საჯარო სკოლის მოსწავლეა. გუნდს ხელმძღვანელობენ: **ვახტანგ შეკაშვილი**, **გოჩა მანდარია** და **ზაზა გამეზარდაშვილი**.

მეორე ტურის დასრულების შემდეგ, გოჩა მანდარია სოციალურ ქსელში წერდა: *„ახლახან დამთავრდა მეორე ტური. ჩვენმა ნაკრებმა 2 ოქროს მედალი მოიპოვა. ოქროს მედალოსნები ნიკა ბირკაძე და გიორგი კლდიაშვილი არიან. ეს ყველა შემთხვევაში ჩვენი ნაკრების წარმატებული გამოსვლების ისტორიაში საუკეთესო შედეგია ☺:) ჩვენი გამარჯვებულები 342 მონაწილეს შორის 16 საუკეთესოში მოხვდნენ, ხოლო ნიკა ბირკაძე მსოფლიოს საუკეთესო ოთხეულშია ☺:) ერთ ამერიკელთან და ორ ჩინელთან ერთად. მან სულ ახლახან დაამთავრა მე-10 კლასი და დარწმუნებული ვარ, წინ კიდევ ბევრი წარმატებები ელის ☺:). ნაკრების ოთხივე წევრი კომაროველია... ვულოცავ კომაროვის სკოლას ამ დიდ წარმატებას. ასევე ვულოცავ „მზიურს“, სადაც ისინი ასევე სერიოზულად ემზადებიან, ხოლო ზოგი მათგანი კი პატარა ასაკიდანვე. მთელ საქართველოს ვულოცავ ამ უდიდეს წარმატებას. ვულოცავ ყველას, ვისაც სულ მცირე წვლილი მაინც აქვს შეტანილი ამ მიღწევაში, მათ შორის ჩვენს ყოფილ ოლიმპიელებს. მადლობა ყველას გულშემატკივრობისათვის, რომელსაც მუდმივად ვგრძნობდით. ზეგ იქნება დაჯილდოება და დახურვა.“*



ოლიმპიადის მონაწილეებს, თავისუფალ დროს, საინტერესო ექსკურსიები ჰქონდათ, შთამბეჭდავი იყო მონაწილეების დაჯილდოებისა და საზეიმო დახურვის ცერემონია.

ასეთი დიდი წარმატება საერთაშორისო ოლიმპიადაზე მხოლოდ ორი წლის წინ გვქონდა ქართველებს – მათემატიკის მსოფლიო ოლიმპიადაზე „კომაროველი“ სანდრო საათაშვილი მეხუთე იყო.

მათემატიკის საერთაშორისო ოლიმპიადის ოქროსმედალოსანი სანდრო საათაშვილი მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტების ათეულის ლიდერ პოზიციებზე მყოფმა ამერიკის შეერთებული შტატების მასაჩუსეტსის ტექნოლოგიურმა უნივერსიტეტმა სრული დაფინანსებით მიიღო.

ალექსანდრე საათაშვილი: *„რიო დე ჟანეიროში გამართულ ოლიმპიადაში რიგითი ნომრით მეხუთე ვიყავი, მათემატიკაში ავიღე ოქროს მედალი. ჩემთვის ეს ოლიმპიადა ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რადგან ამისთვის მე-10 კლასიდან ვემზადებოდი. წელს განსაკუთრებით დიდი დრო დავუთმე მომზადებას. სამომავლოდ ვაპირებ გავაგრძელო სამეცნიერო საქმიანობა“.*

„ახალი განათლების“ რედაქცია ულოცავს კომაროვის სკოლას ამ დიდ წარმატებას.

მოამზადა ლალი თვალაბეიშვილმა

ინფორმაცია

„ნონას თასი“ გურიასა და სამეგრელოში გამოიფინა

XX საუკუნის საქართველოს საუკეთესო სპორტსმენი ქალის, ნონა გაფრინდაშვილის, სახელობის საჭადრაკო ჯილდო – „ნონას თასი“, 7-8 სექტემბერს, გურიასა და სამეგრელოში გამოიფინა.

„ნონას თასი“, რომელიც ჭადრაკის მსოფლიო ფედერაციამ 1997 წელს დააარსა და საჭადრაკო ოლიმპიადების საუკეთესო გუნდს გადაეცემა, საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში მოგზაურობს, ბათუმის ოლიმპიადის ფარგლებში. ბათუმი 43-ე მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადას 23 სექტემბრიდან 5 ოქტომბრის ჩათვლით უმასპინძლებს.

მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი **ნონა გაფრინდაშვილი**, მსოფლიოს ორგზის ვიცე-ჩემპიონი **ნანა იოსელიანი**, საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი და ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის ერთ-ერთი ხელმძღვანელი **გიორგი გიორგაძე**, ფედერაციის წარმომადგენლები – ამ შემადგენლობით ესტუმრნენ ქართული ჭადრაკის მესვეურები გურიასა და სამეგრელოს.

გურიაში „ნონას თასი“ ოზურგეთში, ჭადრების პარკში გამოიფინა. ჭადრაკის მოყვარულებს და უამრავ ოზურგეთელს სიტყვით მიმართეს ნონა გაფრინდაშვილმა, გიორგი გიორგაძემ და ნანა იოსელიანმა, ასევე, გურიის რეგიონში სახელმწიფო რწმუნებულმა-გუბერნატორმა **ზურაბ ნასარიამ**. ოზურგეთელებმა სტუმრებს ვეტერანი მოჭადრაკე, 91 წლის **ოლია შათირიშვილიც** დაახვედრეს, რომელმაც ნონა გაფრინდაშვილს 55 წლის წინანდელი ამბები და პირადი საჭადრაკო დაპირისპირებები შეახსენა.

ზურაბ ნასარიამ ნონა გაფრინდაშვილი, ნანა იოსელიანი და გიორგი გიორგაძე სამახსოვრო პრიზებით დაასაჩუქრა, საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა კი, თავის მხრივ, სიმბოლური პრიზი გადასცა გუბერნატორს და ოლია შათირიშვილს.

სამეგრელოში „ნონას თასი“ ზუგდიდში, დადიანების სასახლის ეზოში გამოიფინა. სტუმრებს სამეგრელო-ზემო სვანეთში სახელმწიფო რწმუნებულმა-გუბერნატორმა, **ალექსანდრე მოწერელიამ** და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა უმასპინძლეს. ნონა გაფრინდაშვილმა და ნანა იოსელიანმა, ოზურგეთის დარად, ზუგდიდშიც გამართეს ერთდროული თამაშის სეანსი, გამორჩეულ პატარა მოჭადრაკეებს კი სამახსოვრო პრიზები და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის საჩუქრები გადასცეს.

ტრადიციისამებრ, ორივე ქალაქში მოეწყო სახალისო საჭადრაკო კონკურსი, რომლის გამარჯვებულებს 43-ე მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის სიმბოლიკით დამშვენებული მაისურები, ბლოკნოტები, მახსოვრობის ბარათები და ჩანთები გადაეცათ.

„მას შემდეგ, რაც ბათუმი ოლიმპიადის მასპინძლად დასახელდა, საორგანიზაციო კომიტეტი ყველანაირად ცდილობს ამ ტურნირის პოპულარიზაციას და „ნონას თასის“ მოგზაურობაც სწორედ ამას ემსახურება. ძალიან მიხარია, რომ ყველა ქალაქში, სადაც კი ეს ჯილდო ჩავიტანეთ, უდიდესი სიხარული და ჭადრაკის სიყვარული დავინახე. ცხადია, არც გურიის და სამეგრელოს რეგიონებია გამონაკლისი. ბედნიერი ვარ, რომ საქართველოს ამ ორ, ძირძველ კუთხეში ძველებურად უყვართ ეს ულამაზესი თამაში. ქალბატონმა ნონამ და ქალბატონმა ნანამ პატარებთან რამდენიმე საინტერესო პარტია გაითამაშეს და ვფიქრობ, ამ ბავშვებს შორისაც არიან ის მოთამაშეები, რომლებიც ახლო მომავალში საქართველოს ნაკრებ გუნდებს დააკომპლექტებენ. მადლობას ვუხდი ადგილობრივ ხელისუფლებას ჩინებული მასპინძლობისთვის. სხვანაირ დახვედრას არც ველოდით“, – განაცხადა გიორგი გიორგაძემ.

„ბათუმის ოლიმპიადის დაწყებამდე ძალიან ცოტა დრო დარჩა, მაგრამ მშვიდად ვარ: ვხედავ, რომ ყველაფერი გეგმის მიხედვით მიდის და მჯერა, ეს ოლიმპიადა საუკეთესო იქნება ისტორიაში. გურიასთან და სამეგრელოსთან უამრავი თბილი მოგონება მაკავშირებს და სწორედ ამიტომ ვესტუმრე ოზურგეთსა და ზუგდიდს. მიუხედავად იმისა, რომ პატარა არ ვარ, ვთვლი, რომ ამ თასის მოგზაურობა საქვეყნო საქმეა და სწორედ ამიტომ ვარ აქ“, – განაცხადა ნონა გაფრინდაშვილმა.

„ნონას თასი“ უკვე გამოიფინა თბილისში, თელავში, რუსთავში, ქუთაისში, ამბროლაურში, გორში, სტეფანწმინდასა და ყვარელში, ასევე რამდენიმე სოფელსა და დაბაში.

„ნონას თასის“ მორიგი მფლობელი ტურნირის დასრულების შემდეგ გამოვლინდება და ის იმ ქვეყანას გადაეცემა, რომლის ქალთა და ვაჟთა გუნდები, საერთო ჯამში, ყველაზე მეტ ქულას დააგროვებენ.

გერმანული პრესა ქართული გამოფენის შესახებ

აი, რას წერს გერმანული ელექტრონული მედია მიმდინარე წლის 4 ოქტომბერს ოფენბახის შრიფტის მუზეუმში ქართული ანბანისადმი მიძღვნილ გამოფენაზე, რომელიც საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ და ხელოვნების სასახლემ მოამზადა:

თბილისი ჩემს ფიქრებში –
შრიფტის ძველი და ახალი ხელოვნება საქართველოდან

საქართველო ფრანკფურტის წლევანდელი წიგნის ბაზრობის მასპინძელი ქვეყანაა. „თბილისი ჩემს ფიქრებში”, გამოფენის ეს სახელწოდება, რომელიც მართალია შთაგონებულია ამერიკული ცნობილი სიმღერით „ჯორჯია ჩემს ფიქრებში”, ყურადღებას კავკასიის ქვეყნის კულტურულ ისტორიაზე ამახვილებს. აქ კი ძირითადი აქცენტი სწორედ ქართულ შრიფტზეა ფოკუსირებული, ის კარგად წარმოაჩენს ქართველების თვითმყოფად ლიტერატურულ გარემოს. საქართველოს ხელოვნების სასახლესთან თანამშრომლობით, ქართული შრიფტის ხელოვნება საზღვარგარეთ პირველად იქნება ნაჩვენები.

ქვეყანას, რომელიც ევროპისა და აზიის გასაყარზე მდებარეობს, საკუთარი ენა და დამწერლობა აქვს, ამ მხრივ უძველესი ნიმუშები მე-5 საუკუნით თარიღდება. საყურადღებოა ისიც, რომ 2016 წელს იუნესკომ ქართული დამწერლობა მსოფლიო არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში შეიტანა. მიუხედავად ასეთი აღიარებისა, საქართველოს კულტურული საგანძური მის ფარგლებს გარეთ მეტწილად ჯერ კიდევ უცნობია.

მდიდარი ექსპოზიცია ქართული ლიტერატურული კულტურის მრავალფეროვნებაზე მეტყველებს. ბეჭდური და ხელნაწერი ნიმუშები, მე-5 საუკუნის ლაპიდარული წარწერებიდან ვიდრე მე-11 საუკუნის უძვირფასეს ხელნაწერებამდე, ასევე თანამედროვე ვიდეოკოლაჟები და კალიგრაფიული კომპოზიციები სრულ წარმოდგენას გვიქმნის ქართული დამწერლობის თავგადასავალზე. შუა საუკუნეების გრაგნილები და იშვიათი წიგნები კარგად ასურათებს XVI-XVIII საუკუნეების საქართველოს წარსულს. ექსპოზიციის მშვენებაა 1629 წელს რომში დაბეჭდილი ქართულ-იტალიური ლექსიკონი და 1709 წელს, მეფე ვახტანგ VI-ის ბრძანებით, თბილისში გამოცემული ქართული სახარება.

ტიპოგრაფიული ნამუშევრები კარგად ადასტურებს იმას, რომ ტიფლისი, მე-20 საუკუნის დასაწყისში, ავანგარდიზმის სასიცოცხლო ცენტრი იყო. გამოფენა ქართველი კალიგრაფების თანამედროვე ნამუშევრებით სრულდება. ისინი შთამბეჭდავად არიან დარბაზში წარმოდგენილნი, ამ მხრივ განსაკუთრებულ გარემოს სოფო კინწურაშვილის 33 ასო-ბგერისაგან შემდგარი ხელშესახები ობიექტები ქმნიან, ისინი შეზღუდული მხედველობის ადამიანებს გამოფენის აღქმის საშუალებას აძლევენ.

უკაბელო ინტერნეტი რეგიონების საჯარო სკოლებს

საგანმანათლებლო პროცესის თანამედროვედ წარმართვისთვის, განსაკუთრებით რეგიონების სკოლებში, უკაბელო ინტერნეტს უზარმაზარი მნიშვნელობა ენიჭება. შესაბამისად, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სააგენტოს“ უფლებამოსილება მიენიჭება, საჯარო სკოლებისთვის უკაბელო ინტერნეტის ინფრასტრუქტურა შეისყიდოს. აღნიშნული საკითხი მთავრობის სხდომაზე საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა, **მიხეილ ბატიაშვილმა** მთავრობის წევრებს წარუდგინა.

მინისტრის თქმით, სააგენტოს მიერ, პირველ ეტაპზე, უკაბელო ინტერნეტით უზრუნველყოფილი იქნება 69 საჯარო სკოლა, რომელთა უმეტესობა რეგიონების, კერძოდ: ახალციხის, სამტრედიის, ფოთის, მარტვილის, საჩხერის, ცაგერის, წყალტუბოს, თიანეთის, ადიგენის, ბოლნისის, ახმეტის, ყაზბეგის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის, ხარაგაულის, ოზურგეთის და ა.შ. სკოლებია.

ჩატარებული ბაზრის კვლევის შედეგების გათვალისწინებით, საჭირო ფინანსური სახსრების ოდენობა, სავარაუდოდ, 1 740 000 ლარით განისაზღვრება.

ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

ᲑᲔᲠᲜᲘᲜᲘᲡ ᲡᲙᲝᲚᲐ ᲓᲐ ᲠᲝᲛᲐᲣᲚᲘ ᲑᲐᲠᲝᲙᲝ

ლეონარდო და ვინჩის, მიქელანჯელოს, რაფაელის, ბოტიჩელის, ტიციანის და სხვა დიდი იტალიელი მხატვრების ნამუშევრების შემდეგ, საქართველოს ეროვნული მუზეუმი მასპინძლობს გამოფენას „ბერნინის სკოლა და რომაული ბაროკო“.

ექსპოზიცია დ. შევარდნაძის სახელობის ეროვნულ გალერეაში გაიხსნა.

გამოფენა გახსნეს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა, **მიხეილ ბატიაშვილმა**, იტალიის ელჩმა საქართველოში, **ანტონიო ენრიკო ბარტოლიმ**, საქართველოს ეროვნული მუზეუმის დირექტორმა, **დავით ლორთქიფანიძემ** და ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, **გიორგი ჩოგოვაძემ**.

„ძალიან მნიშვნელოვანია, რომ გრძელდება მართლაც უნიკალური გამოფენების სერია ეროვნულ მუზეუმში. ჩვენს ახალგაზრდებს, სკოლის მოსწავლეებს, საშუალება აქვთ, გარდა საგამოფენო სივრცეების დათვალიერებისა, რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია მიიღონ საგანმანათლებლო პროგრამებით. ეს კიდევ ერთი კარგი ნიმუშია იმისა, თუ როგორ უნდა თანამშრომლობდეს კულტურა და განათლება ჩვენი ახალგაზრდებისთვის და მომავალი თაობისთვის. ამ მიმართულებით, ეროვნულ მუზეუმთან ძალიან აქტიურად ვმუშაობთ“ – განაცხადა საქართველოს განათლების მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა მიხეილ ბატიაშვილმა.

25 ნოემბრამდე, დ. შევარდნაძის სახელობის ეროვნულ გალერეაში, ბერნინისა და XVII საუკუნის სხვა იტალიელი ოსტატების შედევრები იქნება გამოფენილი, რომლებიც დაცულია რომის მახლობლად მდებარე რომაული ბაროკოს მუზეუმში „პალაცო კიჯი ინ არიჩა“.

გამოფენაზე 60-მდე ნამუშევარია წარმოდგენილი, მათ შორის: ფერწერული და გრაფიკული პორტრეტები, ავტოპორტრეტები, პეიზაჟები, სხვადასხვა ფრესკისთვის მოსამზადებელი ესკიზები, ბრინჯაოს მედლები, კედლის დეკორები – ტყავისა და აბრეშუმის საკიდები, დეკორატიული ლამპა და სხვ.

ნამუშევრები სრულყოფილად წარმოაჩენს სახვითი ხელოვნების იმ ჟანრებსა და სტილს, რომლებმაც ბაროკოს ესთეტიკა განსაზღვრა და, იმავდროულად, ჩამოაყალიბა კათოლიკური ეკლესიის როგორც ზნეობრივი, ისე სულიერი საკომუნიკაციო სისტემა. ისტორიული, ალეგორიულ-რელიგიური და მითოლოგიური თემატიკის მომცველი ფერწერის გარდა, წარმოდგენილი იქნება სახასიათო ნიმუშები იმ ჟანრებისა, რომლებსაც აღნიშნული ეპოქის ქტიტორები ანიჭებდნენ უპირატესობას.

გამოფენას თან ახლავს სხვადასხვა ასაკისთვის განკუთვნილი საგანმანათლებლო პროგრამები და საჯარო ლექციები.

10 სექტემბერს, ეროვნულ გალერეაში პირველი საჯარო ლექცია მუზეუმის „პალაცო კიჯი ინ არიჩა“ დირექტორმა, **ფრანჩესკო პეტრუჩიმ** გამართა.

პროექტი იტალიის საელჩოსა და საქართველოს ეროვნული მუზეუმის მჭიდრო თანამშრომლობის შედეგია და საქართველოს მთავრობის პროექტის Check-in-Georgia ფარგლებში ხორციელდება.

გამოფენა Palazzo Chigi-სა და Global Project Consulting-თან კოლაბორაციით ხორციელდება. ინიციატივის მხარდამჭერები: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, იტალიის საგარეო საქმეთა და საერთაშორისო თანამშრომლობის სამინისტრო და პროგრამა „VivereALL'-Italiana“. გამოფენების მხარდამჭერები ასევე არიან: DBA, Salini Impregilo, ვითიბი ბანკი, Leonardo, Gulf, Anas.

* * *

ჯოვან ლორენცო ბერნინი (ნეაპოლი 1598 - რომი 1680) ბაროკოს ხელოვნების დიდ სტრატეგოსად და მის უმაღლეს წარმომადგენლად გვევლინება. ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში არაერთი პაპის სამსახურში იყო. ცნობილია, როგორც მოქანდაკე და არქიტექტორი, თუმცა, ამავდროულად, იყო ფერმწერი, სცენოგრაფი, მსახიობი და კომედიოგრაფი. მისი მრავალმხრივი ნიჭის გამოვლინებაა მდიდრული და საუცხოო დეკორაციები, რომელთა მასალის მრავალფეროვნება, ორნამენტული დეტალების უნაკლო სტილი და ექსპრესიულობა ხელოვნების ყველა სახეობათა სრულყოფილების შექმნისკენაა მიმართული.

3 000 ᲬᲚᲘᲗ ᲓᲐᲗᲐᲠᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲗᲘ ᲗᲮᲠᲘᲚᲘ

ქართულ-პოლონური მუდმივმოქმედი არქეოლოგიური მისიის ფარგლებში, მიმდინარე სამეცნიერო კვლევა-ძიებისას, ქალაქ ქუთაისში, 3 000 წლით დათარიღებული თავდაცვითი თხრილი გამოვლინდა. წყლით სავსე თხრილს სპეციალისტები გვიანი ბრინჯაოს ხანის მნიშვნელოვანი კოლხური კულტურული დასახლების თავდაცვის საშუალებას მიაკუთვნებენ. ქართველი და პოლონელი არქეოლოგების ვარაუდით, აღნიშნული აღმოჩენა შესაძლოა გახდეს პირველი მატერიალური დადასტურება იმისა, რომ გვიანი ბრინჯაოს ხანის მნიშვნელოვანი ცენტრი – კოლხეთის ცივილიზაცია ნამდვილად ქუთაისის ამჟამინდელი გაბაშვილის გორის გარშემო (არქეოლოგიური გათხრების არეალი) არსებობდა.

ახლად გამოვლენილი თხრილის ზომები სიგანით 10მ-ს, ხოლო სიღრმე კი 6მ-ს აღწევს. არქეოლოგიური ობიექტი ტიპურია იმ ანალოგებისა, რომლებიც გამოყენებული იყო ბრინჯაოს ხანის პერიოდში (დაახლოებით 3000-3500 წლის წინ) და მოგვიანებით – ანტიკურ ხანაში (IV-VI საუკუნეები ჩვ.წ. აღრიცხვით). იქიდან გამომდინარე, რომ არქეოლოგიური თხრილის მიმდებარე რელიეფი შეუქცევადადაა შეცვლილი სხვადასხვა ჩარევისა და თანამედროვე მშენებლობების შედეგად, მეცნიერები აღმოჩენილ თხრილს ქუთაისის ადგილზე ანტიკური ქალაქის არსებობის ჯერჯერობით ერთადერთ მატერიალურ დადასტურებად მიიჩნევენ.

პოლონურ-ქართული ექსპედიციის კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი აღმოჩენა ე.წ. კოლხური ბრინჯაოს ცულის ჩამოსასხმელი ქვის ყალიბს უკავშირდება. აღმოჩენილია გამოსაწვავ ღუმელში გამოსაყენებელი კერამიკული მილი, რომელიც სპეციალისტებს საკვლევი არეალის მიმდებარედ მეტალურგიის არსებობის ისტორიულ კვალზე მიანიშნებს. ქართულ-პოლონური გუნდის მიერ არქეოლოგიურ ქვედა ფენებში გამოვლენილია კოლხეთში დამზადებული გვიან ბრინჯაოს ხანის ტიპური კერამიკული და ანტიკური ხანის თიხის ჭურჭელი. ადგილობრივად წარმოებულ მასალებთან ერთად აღმოჩენილია იმპორტირებული ჭურჭლის ფრაგმენტებიც.

ყურძნისა და ლეღვის წიპწების, მარცვლეულისა და სხვა საკვები მცენარეების სახით გამოვლინდა ორგანული ნარჩენებიც. მეცნიერები იმედოვნებენ, რომ ეს აღმოჩენა მათ 3 000-3 500 წლის წინანდელი ადგილობრივი ფლორისა და ანტიკური კოლხეთის მცხოვრებთა კვების რაციონის აღდგენაში დაეხმარება. არქეოლოგიური მასალების ნიმუშები, თხრილში აღმოჩენილი ხის საყრდენების ფრაგმენტებთან ერთად, უახლოეს მომავალში, პოლონეთის ქიმიურ ლაბორატორიებში შემდგომი კვლევისათვის გაიგზავნება.

არქეოლოგიური ძიებისას გამოვლენილი ობიექტები შედეგია ქართულ-პოლონური ერთობლივი კვლევითი პროცესისა, რომელიც კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსა და ვარშავის უნივერსიტეტის ძალისხმევით ქუთაისში ახლად გახსნილი ინტერდისციპლინარული ცენტრის ბაზაზე ხორციელდება.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ქუთაისის მუზეუმ-ნაკრძალის თანამშრომლების, ქუთაისის კრუკოვსკის სახელობის ინტერდისციპლინარული კვლევითი ცენტრისა და ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ქუთაისის ისტორიის სახელმწიფო მუზეუმის მიერ ერთობლივად კოორდინირებულ პროექტს პოლონეთის ეროვნული ფონდი აფინანსებს.



რჩევები ტონი ვაგნერისგან

7 თვისება, რომელიც მოსწავლემ სკოლაში უნდა შეიძინოს

ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორმა, ტონი ვაგნერმა, რომელიც 12 წლის განმავლობაში მუშაობდა ინგლისურის მასწავლებლად და ასევე სკოლის დირექტორად, 2008 წელს გამოსცა წიგნი „THE GLOBAL ACHIEVEMENT GAP“. გამოცემა მალევე გახდა ბესტსელერი და რამდენიმე ენაზე ითარგმნა. წიგნი წარმოაჩენს სხვაობას – რასაც დღეს, თუნდაც, საუკეთესო სკოლებში მოსწავლეებს ასწავლიან და იმ რეალურად ღირებულ თვისებებს შორის, რომელსაც მოითხოვს თანამედროვე ეკონომიკა და შრომის ბაზარი. წიგნის პირველ თავში აღწერილია 7 ყველაზე მნიშვნელოვანი თვისება, რომელიც სკოლის დამთავრებადე ყველა მოსწავლემ უნდა შეიძინოს იმისათვის, რომ შემდგომში იშოვოს და შეინარჩუნოს კარგი სამსახური, ჰქონდეს წარმატებული კარიერა და თუნდაც იმისთვის, რომ იყოს კარგი მოქალაქე. იმისთვის, რომ გამოევლინა უნარები, რომელიც ასე ფასობს 21-ე საუკუნეში, ავტორმა ასამდე წარმატებული ორგანიზაციის, მათ შორის, APPLE, UNILEVER, ასევე ამერიკის არმიის და სხვა სფეროს ხელმძღვანელები გამოკითხა.



1. კრიტიკული აზროვნება და პრობლემების გადაჭრის უნარი

იმისთვის, რომ იყვნენ წარმატებულნი თანამადროვე კონკურენციის პირობებში, ორგანიზაციებს სჭირდებათ, მათი ყველა თანამშრომელი იყოს მოაზროვნე, რომელსაც შეეძლება დამოუკიდებლად გადაჭრას პრობლემები. ის დრო, როცა ხელმძღვანელები თავად წყვეტდნენ ყველა საკითხს, წარმატებულმა კომპანიებმა კარგა ხანია წარსულს ჩააბარეს, ამიტომ პიროვნებას, რომელიც უშუალოდ ასრულებს საქმეს, აუცილებელია ჰქონდეს კარგი ანალიტიკური უნარები. მან უნდა გაზომოს, შეაფასოს და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება. მსოფლიოში ცნობილი სასტუმროების ქსელი „ჰილტონი“ დამატებით 2000 დოლარს უხდის თანამშრომლებს იმისთვის, რომ მოიფიქრონ პრობლემების გადაჭრის თავიანთი ხედვები.

კრიტიკული აზროვნება ნიშნავს, არ მიიღო მოცემულობა ჭეშმარიტებად და დასვა კარგი კითხვები, რომელზეც სწორი პასუხის გაცემა მოიტანს პრობლემის ახლებურ გადაწყვეტას. როგორც კომპანია „Dell“-ის ვიცე-პრეზდენტი ამბობს: „გუშინდელი პასუხები დღევანდელ პრობლემას ვერ გადაჭრის “. „ამის საპირისპიროდ, მოსწავლეებს სკოლაში ასწავლიან, რომ დაიზეპირონ სწორი პასუხები“ – ამბობს წიგნის ავტორი

2. მულტიკულტურულ გარემოში გუნდური მუშაობის და ლიდერობის უნარი

დღეს წარმატებული კომპანიები თანამშრომლებს მთელი მსოფლიოდან უყრიან თავს, მათი წარმატებული მუშაობის უმთავრესი წინაპირობა განსხვავებული კულტურის რელიგიის ღრმა პატივისცემა და დაფასებაა. გავლენით ხელმძღვანელობა გულისხმობს, თანამშრომლების მოტივირებას და მართვას არა ფორმალური ბერკეტებით, არამედ ლიდერული თვისებებით. ისწავლება თუ არა ეს თვისებები სკოლებში? ავტორის თქმით, განათლება ყველაზე იზოლირებული პროფესიაა მსოფლიოში. როცა ფეხბურთელები თამაშობენ, მათ უამრავი ხალხი უყურებს, საკლასო ოთახის კარი კი დაკეტილია. როგორ შეიძლება ასეთ პირობებში პედაგოგები იყვნენ გუნდური მუშაობის და გავლენით ლიდერობის მოდელი.

3. სისხარტე და ადაპტაციის უნარი

სისხარტე ნიშნავს, დააფიქსირო და სწრაფადვე გადაჭრა პრობლემები დამოუკიდებლად. ადაპტაციის უნარი ნიშნავს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ წლების განმავლობაში ერთ კომპანიაში მუშაობთ, თანამედროვე ორგანიზაციები იცვლებიან წლიდან წლამდე და ახდენენ რესტრუქტურიზაციას და ყოველი ასეთი რეორგანიზაციის შემთხვევაში, ყველა თანამშრომელს უწევს რაღაც ახლის შესწავლა და მორგება ახალ გარემოსთან. ავტორის თქმით, ორივე ეს თვისება – ადაპტაცია და სისხარტე ძალიან შორსაა ყოველდღიური სასკოლო ცხოვრებისგან, სადაც ყველა დღე ერთმანეთს ჰგავს.

4. ინიციატივა და მეწარმეობის უნარები

კომპანიის „Cisco“ ვიცე-პრეზიდენტის მტკიცებით, მას ურჩევნია ისეთი თანამშრომელი, რომელიც 10 ამბიციურ მიზანს სახავს და აღწევს, ვიდრე თუნდაც 7 ისეთი, რომელიც 6 ზუსტ მიზანს სახავს და ყველას ასრულებს. კომპანიებს სურთ ინიციატივიანი თანამშრომლები, რომლებიც თუნდაც შეცდომებსაც დაუშვებენ. მსოფლიოში ყველაზე ინოვატორი კომპანიები აფასებენ შეცდომას, რადგან მათ კარგად იციან, რომ შეცდომაზე უფრო მეტის სწავლა შეიძლება, ვიდრე წარმატებაზე. რა ხდება სკოლებში? – მოსწავლეებს სჯიან შეცდომისთვის.

5. ეფექტური წერისა და კომუნიკაციის უნარი

ეს არის კომპანიის ხელმძღვანელების ნომერ პირველი საჩივარი მასწავლებლების მიმართ. ისინი გაკვირვებულნი არიან, რომ ბევრ ახალგაზრდას არ აქვს ეფექტური წერის და ვერბალური კომუნიკაციის უნარი, მათ არ შეუძლიათ სათქმელის დამარწმუნებლად გადმოცემა, საკუთარი მოსაზრების ნათლად ჩამოყალიბება, რაც ასე მნიშვნელოვანია ყველა კომპანიისთვის.

6. საჭირო ინფორმაციის მოპოვება და ანალიზი

დღეს ნებისმიერი ორგანიზაციისთვის მნიშვნელოვანია, რომ მისმა თანამშრომელმა არა მარტო იცოდეს, როგორ მიიღოს ინფორმაცია, არამედ გამოარჩიოს მასში საჭირო და სასარგებლო მხარეები, ასევე გააანალიზოს, რა ინფორმაცია იქნება ღირებული მომავალში. 21-ე საუკუნეში ინფორმაციის მოცულობა, ყოველდღიურად, არა მარტო იზრდება, არამედ იცვლება კიდეც, მაგალითად, თუ გუშინ ვიცოდით, რომ 8 პლანეტა იყო, დღეს შეიძლება გავიგოთ, რომ მეცხრეც არსებობს. ამ ინფორმაციას გუგლი უფრო სწრაფად და ზუსტად მოგვაწვდის, ვიდრე ჩვენ დავიმახსოვრებთ. მსგავსი ტექნოლოგიური მიღწევები ბუნებრივად აჩენს კითხვას, რა არის დაზეპირების როლი განათლებაში, რომელზეც ამდენი დრო იხარჯება?

7. ცნობისმოყვარეობა და წარმოდგენის უნარი

ეს ორი თვისება მთავარ როლს თამაშობს ინოვაციაში. ინოვაცია კი არის ის, რაც ეკონომიკას ამოძრავებს და ძალიან მნიშვნელოვანია, ზოგადად, კაცობრიობის განვითარებისთვის.

* * *

„სამწუხაროდ, დღეს არც ერთი ზემოთ ჩამოთვლილი თვისება სკოლებში არ ისწავლება და არც მოწმდება. ეს არ არის არც ერთი პედაგოგის ან დირექტორის ბრალი, მოძველებული სისტემის ბრალია, რომელიც საუკუნის წინ შეიქმნა და დღემდე არ განუცდია ცვლილება.“ – ტონი ვაგნერი.

რეგიონი

მინისტრმა ახალი სპორტული დარბაზი მოინახულა

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ზედა ახალშენის საჯარო სკოლის მოსწავლეებს, ახალი სასწავლო წლიდან, სპორტის გაკვეთილები ახალ სპორტულ დარბაზში ჩაუტარდებათ. დასრულებული სპორტული დარბაზი, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა, **ინგა შამილიშვილმა** სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის უფროსთან, **ჯემალ სურმანიძესთან**, ერთად მოინახულა.

პროექტის მიხედვით, სკოლის ტერიტორიაზე ახალი დახურული სპორტული დარბაზი აშენდა და სპორტული ინვენტარით აღიჭურვა. სპორტული დარბაზის ფართი შეადგენს 231 კვ.მ.-ს. ასევე, კეთილმოეწყო გასახდელი ოთახები და მასწავლებლის კაბინეტი. დახურული სპორტული დარბაზის გვერდით, პარალელურად, მოეწყო 180 კვმ ღია სპორტული მოედანი, ხელოვნური საფარით და დამცავი ღობით. მინისტრმა დადებითად შეაფასა განხორციელებული სამუშაოები და აღნიშნა, რომ *„სამინისტროსთვის მნიშვნელოვანია სპორტული ინფრასტრუქტურის გამართვა, რათა ბავშვები ჯანსაღი ცხოვრების წესით აღიზარდონ. სკოლებში კეთილმოწყობილი დახურული და ღია სპორტული მოედნების მოწყობას განსაკუთრებული მნიშვნელობა იმ სიახლის ფონზე ენიჭება, რომელიც ეროვნული სასწავლო გეგმით, ახალი სასწავლო წლიდან, სკოლებში ფიზიკური აღზრდისა და სპორტის გაკვეთილებზე დაინერგება“.*

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ზედა ახალშენის საჯარო სკოლის სასკოლო სპორტული ინფრასტრუქტურა სრულად აკმაყოფილებს თანამედროვე სტანდარტებს და შესაძლებელია მოზარდების სპორტის სხვადასხვა სახეობებში კომპლექსურად მომზადება.

შეხვედრა ლაიფციგის უნივერსიტეტის დოქტორანტებთან

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში მინისტრი **ინგა შამილიშვილი** და მინისტრის მოადგილე **თეონა ბერიძე** გერმანიის ლაიფციგის უნივერსიტეტის დოქტორანტების ჯგუფს შეხვდნენ, რომლებიც საქართველოში სასწავლო ვიზიტით იმყოფებოდნენ. მინისტრმა ლაიფციგის უნივერსიტეტის დოქტორანტებს აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საქმიანობის ძირითადი მიმართულებები გააცნო. განსაკუთრებული აქცენტები განათლებისა და კულტურის სფეროში მოქმედ პროგრამებზე გაკეთდა. ასევე, შეხვედრაზე საუბარი შეეხო უმაღლესი განათლების სფეროში სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივებს.

კერამიკის ალქიმია

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ხელშეწყობით, ფესტივალი „კერამიკის ალქიმია“, რომელიც ბათუმში 29 აგვისტოდან 12 სექტემბრის ჩათვლით მიმდინარეობდა, დასრულდა. ფესტივალის დასკვნით ღონისძიებას, არქეოლოგიის მუზეუმში, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი **ინგა შამილიშვილი** და მინისტრის მოადგილე **თეონა ბერიძე** ესწრებოდნენ. ბათუმელ კერამიკოსებთან ერთად, ფესტივალში ლატვიელი ხელოვანები და ასევე, თბილისის სამხატვრო აკადემიის კერამიკის სპეციალობის პროფესორ-მასწავლებლები მონაწილეობდნენ. ფესტივალის ფარგლებში, ყოველდღიურად, ადგილობრივი და უცხოელი წამყვანი კერამიკოსები ვორქშოპებს ატარებდნენ, მონაწილეობის მიღება ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეეძლო. ფესტივალის მიზანია რეგიონში ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნებისა და კულტურის პოპულარიზაცია, ტურიზმისა და შემოქმედებითი ინდუსტრიის განვითარება. არქეოლოგიის მუზეუმში ფესტივალის ფარგლებში შექმნილი ნამუშევრების გამოფენა მოეწყო. ინგა შამილიშვილმა და თეონა ბერიძემ ფესტივალის მონაწილეებს სერტიფიკატები გადასცეს.

40 წლის შემდეგ

43-ე მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტმა და საქართველოს ჭადრაკის ფედერაციამ მოახლოებულ ოლიმპიადას კიდევ ერთი საინტერესო ღონისძიება მიუძღვნა – 4 სექტემბერს, კახეთში, ილიას ტბაზე, **მაია ჩიბურდანიძის** მსოფლიო ჩემპიონობის 40 წლის იუბილე **ნონა გაფრინდაშვილთან** მატჩით აღინიშნა!

სიმბოლური პაექრობა, რომელსაც ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელები, კახეთის მხარის მაღალჩინოსნები და გულშემატკივრები ესწრებოდნენ, ფრედ – 1,5:1,5 დასრულდა. პირველი ბლიცპარტია მაია ჩიბურდანიძემ მოიგო, მეორე ყაიმით დასრულდა, მესამეში კი ნონა გაფრინდაშვილმა გაიმარჯვა.

მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონმა მაია ჩიბურდანიძემ საჭადრაკო დედოფლის გვირგვინი 1978 წელს სწორედ ნონა გაფრინდაშვილთან გამარჯვებით მოიპოვა. საჩემპიონო მატჩს ბიჭვინთამ უმასპინძლა. ქალბატონი ნონა მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი გახლავთ, ორივენი კი საჭადრაკო ოლიმპიადის კეთილი ნების ელჩები არიან.

„არც მჯერა, რომ უკვე 40 წელი გავიდა... ბედნიერი ვარ, რომ ეს მოვლენა ასე ლამაზად აღინიშნა! 40 წლის წინ ბიჭვინთაში მოვიგე მსოფლიო ჩემპიონის ტიტული, ახლა კი კახეთში ვეთამაშე ნონას... ძალიან ლამაზი და ამაღელვებელი დღე გამოვიდა, მადლობა ყველას – ჭადრაკის ფედერაციას, ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტს, გულშემატკივრებს... ყველას, ვინც დღევანდელი დღე ასე ლამაზად აღნიშნა. ვისურვებდი, რომ იმ გამარჯვების 50 წლის იუბილეც აღგვენიშნოს“ – განაცხადა მაია ჩიბურდანიძემ.

„მადლობა ჩვენს ლეგენდარულ, მართლა საამაყო მოჭადრაკეებს ასეთ ლამაზ ღონისძიებაში მონაწილეობაზე რომ დაგვთანხმდნენ. ქალბატონი ნონაც და ქალბატონი მაიაც ქართული სპორტის მშვენებები არიან, მათ საქვეყნოდ გაუთქვეს სახელი არა მარტო ჩვენს ჭადრაკს, ზოგადად, საქართველოს. ვიმედოვნებ, დღევანდელი დღით ყველა ძალიან ნასიამოვნები დარჩა“ – განაცხადა საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა, 43-ე მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა, **გიორგი გიორგაძემ**.

მაია ჩიბურდანიძის და ნონა გაფრინდაშვილის პაექრობას ოლიმპიადის სპონსორის – „მეღვინეობა ხარებას“ ხელმძღვანელებიც დაესწრნენ. კომპანიის მესვეურთა გადაწყვეტილებით, მაია ჩიბურდანიძის მსოფლიო ჩემპიონობის 40 წლის იუბილეს „მეღვინეობა ხარება“ სპეციალურად ამ მოვლენისთვის ჩამოსხმულ ღვინის სერიას მიუძღვნის.

„მოხარული ვარ ასეთ ლამაზ დღეს რომ ვესწრები. ჩვენი კომპანიისთვის დიდი პატივია ქართული ჭადრაკის მხარდაჭერა და დარწმუნებული ვარ, ჩვენს მოკრძალებულ წვლილს შევიტანთ მის წინსვლაში. რაც შეეხება დღევანდელ იუბილეს, გადავწყვიტეთ ჩვენი საამაყო მსოფლიო ჩემპიონების საპატივცემულოდ სპეციალური სერია ჩამოვასხათ, რომელიც ორ ბოთლში გაერთიანდება და 40 წლის წინანდელ მატჩს მიეძღვნება“ – განაცხადა „მეღვინეობა ხარებას“ გენერალურმა დირექტორმა, **გიორგი ეზუგბაიამ**.

დღის დასასრულს „მეღვინეობა ხარებამ“ საიუბილეო ღონისძიებაში მონაწილეებს ყვარელში, ღვინის გვირაბში უმასპინძლა, სადაც მაია ჩიბურდანიძესთან და ნონა გაფრინდაშვილთან სიმბოლური შეთანხმება გაფორმდა.

მაღალი რანგის შეჯიბრება

კორეაში გამართულ სროლის სახეობათა მსოფლიოს 52-ე ჩემპიონატში წარმატებით გამოვიდა ქუთაისელი სპორტსმენი **ლიზი კილაძე** – ახალგაზრდებში პნევმატური პისტოლეტიდან სროლაში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. **ნინო სალუქვაძის** შემდეგ ამ სახეობაში ეს პირველი შემთხვევაა, როცა ამ რანგის შეჯიბრებაზე ჯილდო დავიმსახურეთ.

თუმცა ჩვენთვის წარმატებაა ისიც, რომ ფინალში, ანუ საუკეთესო რვა სპორტსმენს შორის, მეორე წარმომადგენელიც გვყავდა და ისიც ქუთაისელი – აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტი **ნინო ხუციბერიძე**, ახალგაზრდებში ევროპის ვიცეჩემპიონი. მან საკვალიფიკაციო ეტაპი მესამე ადგილზე დაასრულა 571 ქულით, თუმცა ფინალის შემდეგ საბოლოოდ მეშვიდეზე დარჩა.

კილაძემ საკვალიფიკაციო ეტაპი 569 ქულით დაასრულა, თუმცა კინაღამ ისე მოხდა, რომ ფინალს მიღმა დარჩა – იქ შესასვლელად დამატებითი მაჩვენებლების მოშველიება დასჭირდა, რადგან რუსმა **იანა ენინამაც** ამდენივე ქულა დააგროვა. საბედნიეროდ, ჩვენებურს 10-იანიც მეტი ჰქონდა და ბოლო სერიაც უკეთ დაასრულა.

თბილისში დაბრუნების შემდეგ მას რამდენიმე კითხვით მივმართეთ ჩემპიონატთან დაკავშირებით.

* * *

– ელოდით ამ წარმატებას, რამდენად ძნელი იყო ტურნირი?

– მსოფლიოს ჩემპიონატი ძლიერი ტურნირია, რადგან მთელი მსოფლიოდან ძლიერი კონკურენტები მონაწილეობენ, ბევრი მათგანი კი უკვე ტიტულოვანი სპორტსმენია.

მე ვცდილობდი, ჩემი შედეგი მეჩვენებინა და საკუთარ თავში დავრწმუნებულიყავი. მე ხომ ამ მედლისთვის დიდი ხანია ვვარჯიშობ, ამიტომ ძალიან გახარებული ვარ ამ წარმატებით. ვეცდები, სამომავლოდ კიდევ უკეთესი შედეგი ვაჩვენო.

– როგორ ფიქრობთ, მეტიც ხომ არ შეგეძლოთ?

– ცხადია, საკვალიფიკაციო ეტაპზეც შემეძლო უკეთესი შედეგის ჩვენება. თავიდან არც ისე სახარბიელოდ დავიწყე გამოსვლა. არ ვიცი, ალბათ, ეს ნერვიულობის გამო მოხდა, რადგან უფრო მეტი მინდოდა. მანამდე, ვარჯიშებზე კარგი შედეგები მქონდა და შესაბამისად, მსურდა, შეჯიბრებაზე უკეთესად გამოვსულიყავი. ამიტომ თავიდან ძალიან მოვინდომე, მაგრამ როცა მივხვდი, შეცდომას ვუშვებდი და ფინალში ვერ გავდიოდი, ბოლო ორი სერია სხვა განწყობით ჩავატარე: ფარ-ხმალი კი არ დამიყრია, პირიქით, ვეცადე, ძალები მომეკრიბა და ნორმალური შედეგი მეჩვენებინა. ფსიქოლოგიურად უფრო თავისუფლად ვისროდი, თუმცა მანამდე ნაჩვენები ქულებიდან გამომდინარე, ფინალში მოხვედრას მაინც არ ველოდებოდი.

– ალბათ, ერთი გამარჯვების ტოლფასი სიხარული მაშინ განიცადეთ, როცა ფინალში გასვლა გაიგეთ – რუს იანა ენინას ხომ თანაბარ ქულაზე, დამატებითი მაჩვენებლებით აჯობეთ?

– ფინალში რომ შევედი, ნერვიულობის თავიც არ მქონდა, საკვალიფიკაციოში იმდენი ვინერვიულე. თუმცა ნინო სალუქვაძემ ბევრი რჩევა მომცა, დამარიგა, რომ არ მენერვიულა, რაც ძალიან გამომადგა.

ფინალში ოთხნი რომ დავრჩით, 2014 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე განცდილი ნერვიულობა გამახსენდა, როცა ასევე ოთხნი შემოვრჩით, მაგრამ მე გამოვვარდი და მეოთხე ადგილზე დავრჩი. ვფიქრობდი, ღმერთო, ოღონდ ახლა არ გამოვვარდე-მეთქი და როცა ფრანგი მსროლელი გავარდა, ვერ აგიწერთ, რა დღეში ჩავვარდი. ეს ხომ ჩემი შრომის დაფასება იყო და თან პირველი მედალი მსოფლიო ჩემპიონატზე. ამიტომ ძალიან გახარებული ვიყავი. ერთი სული მქონდა, როდის გამოვიდოდი და ჩვენებს სიხარულს გავუზიარებდი.

ბუნებრივია, უფრო მეტიც შემეძლო, რადგან გამოცდების გამო ამ ჩემპიონატისთვის ხეირიანად ვერ მოვემზადე, 2-3 თვე არ მქონდა ნავარჯიშები – არც შეკრებაზე ვყოფილვარ და არც ტურნირზე სერბეთში. გამოცდების გამო თავი გადავდე, თუმცა მეტს მაინც ველოდი. ცხადია, მნიშვნელოვანია შრომის დაფასება, რათა სამომავლოდ მეტი სტიმული გქონდეს და უკეთეს შედეგებს მიაღწიო. ისევ გავაგრძელებ ვარჯიშს, ამჯერად – უკვე თბილისში, რადგან აქ ჩავაბარე და სასწავლებლად დედაქალაქში გადმოვდივარ. იმედია, მსოფლიოზე დაშვებულ შეცდომებს გამოვასწორებ და ევროპის ჩემპიონატისთვის უკეთეს ფორმაში ვიქნები.

* * *

ლიზი კილაძის გარდა, საკუთარი გამოსვლის შეფასება ნინო ხუციბერიძესაც ვთხოვეთ. კარგი სტარტის შემდეგ უმედლოდ დარჩენის გამო გულდაწყვეტილი მაინც ოპტიმისტურ განწყობაზე იყო: *„საკვალიფიკაციო ეტაპზე ძალიან კარგად ვიმუშავე, ფინალში კი გული დამწყდა, ბოლომდე რომ ვერ გამოვავლინე ჩემი შესაძლებლობები. თუმცა ამანაც ბევრი რამ მასწავლა, ბევრ შეცდომას მივხვდი, რასაც მომავალში გამოვასწორებ. ახლა უკვე ვიცი, რაზე უნდა ვიმუშაო და რა უნდა გამოვასწორო. თან ამ ჩემპიონატმა ჩემი თავის რწმენაც მომცა.“*

რუბრიკას უძღვება ირაკლი თავაძე

სასწავლო პროექტები
წიგნში მოცემული ნიმუშები დაეხმარება მასწავლებელს, გაეცნოს სხვადასხვა საგნებში შექმნილ სასწავლო პროექტებს. ახსნილია პროექტის სტრუქტურა და გაწერილია რეკომენდაციები, როგორ უნდა შეიქმნას თითოეული სტრუქტურული ერთეული. მასალის გამოყენებით, მას შეუძლია დაგეგმოს სასწავლო პროექტი ამა თუ იმ საგანში.
11 ლარი



ქართული I-VI კლასები
წიგნი შექმნილია მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის შესაბამისად და დაეხმარება I-VI კლასების მასწავლებლებს, წარმატებით ჩააბარონ საგნობრივი გამოცდა.
11 ლარი



პროფესიული უნარები
დაეხმარე სახელმძღვანელო განკუთვნილია ყველა საგნის მასწავლებლისთვის
15 ლარი

ტესტების კრებული მასწავლებლებისთვის პროფესიულ უნარებში
წიგნი მოიცავს ტესტების შესრულების ინსტრუქციას, ტესტებს პასუხებით და ტერმინების განმარტებით ლექსიკონს. ტესტები სრულად მოიცავს სავამოცდო პროგრამას.
15 ლარი

მასწავლებლის ბიბლიოთეკა

მასწავლებლის სამუშაო რვეული



4 ლარი

ინტერაქტიური მეთოდების კრებული

6 ლარი

კათედრის გამგის პორტფოლიო

6 ლარი

მასწავლებლის კალენდარი

5.50 ლარი

ცნობარი დაწყებითის პედაგოგებისთვის



14 ლარი

ინოვაციური გაკვეთილები დაწყებით კლასებში

6.50 ლარი

მოვემზადოთ საატესტატო გამოცდებისთვის

კრებულში შესულია პროგრამით გათვალისწინებული თეორიული მასალა და ტესტები. გადასაფხეკი ფენის ქვეშ მოთავსებულია უნიკალური კოდი. ეს კოდი შეიყვანეთ სპეციალურ აპლიკაციაში, რომელიც განთავსებულია გამომცემლობის ოფიციალურ ფეისბუქგვერდზე fb.com/bakursulakauripublishing
ერთი კოდის გამოყენება შეუძლია მხოლოდ ერთ მომხმარებელს. ელექტრონული ტესტები შეიძლება ჩააბაროთ როგორც თემების მიხედვით, ასევე შერეულად.

თითო კრებულის ფასი – 10.90 ლ

არაქართულენოვანი სკოლების პედაგოგებისთვის



პროფესიული უნარების გამოცდისთვის მოსამზადებლად
ფასი – 9 ლარი



ნამდვილი და მოგონილი ამბები

სერია შექმნილია I-VI კლასების მოსწავლეებისათვის, „კითხვის საათის" სპეციფიკის გათვალისწინებით.



სერიის ფასი – 32.40 ლ

ქართული ენის კრებულები

ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული გრამატიკის თეორიული კურსი და სავარჯიშოები.

სერიის ფასი 17.70 ლ

„ინტელექტი" და „არტანუჯი" გთავაზობთ

15 ლარი

ეროვნული გამოცდების სიმულაცია
გიორგი მეჭურჭლიშვილი, არჩილ თაბუკაშვილი, კონსტანტინე ბარამია

გავიმეოროთ მათემატიკა
19 ლარი (ერთი ცალი)
წიგნი დაწერილია აბიტურიენტებისა და მასწავლებლებისთვის. მასალა დალაგებულია პროგრამის მიხედვით და გადმოცემულია გეომეტრიის, ანალიზის, ალგათობისა და სტატისტიკის საკითხები.

ქართული ენის გრამატიკა
სინტაქსი (სასკოლო კურსი)
ნ. შარაშენიძე
7 ლარი



ქართული ენის გრამატიკა
მორფოლოგია (სასკოლო კურსი)
ნ. შარაშენიძე
8 ლარი



თამაზ ვასაძე
ქართული აგიოგრაფიული პროზა ლიტერატურის შემსწავლელთათვის
4 ლარი



თამაზ ვასაძე
კომენტირებული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი
12 ლარი



ბიოლოგია
საატესტატო გამოცდებისთვის
ლ. ბურდილაძე, ნ. სიხარულიძე, ქ. მაღრაძე, დ. ბაზიაშვილი
6 ლარი



ფიზიკა
საატესტატო გამოცდებისთვის
ქ. ტატიშვილი, ზ. ბერია
10 ლარი



თამარ ბეროზაშვილი
ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი (ორტომეული)
10 ლარი

„ახალი განათლებისა" და „დიოგენეს" ექსკლუზიური აქცია სკოლებისთვის

ბოლო წლების საერთაშორისო ბესტსელერი, ყველაზე პოპულარული საბავშვო შემეცნებითი წიგნი „რუკები" 2012 წელს შეიქმნა პოლონეთში და მოიცავს ეთნოგრაფიული, გეოგრაფიული, ზოოლოგიური, ბოტანიკური, ზოგადკულტურული ხასიათის ინფორმაციას მსოფლიოს მრავალი ქვეყნის შესახებ.



„რუკები" უნიკალურია, კარგად გააზრებული იდეისა და დახვეწილი შესრულების თვალსაზრისით. ამ წიგნს იყენებენ როგორც სასწავლო-პედაგოგიურ გარემოში, ისე ოჯახში სხვადასხვა თაობის წარმომადგენელთა მიერ ერთობლივი კითხვისთვის. „რუკების" მასალის გამოყენებით შესაძლებელია სხვადასხვა თამაშებისა და საგანმანათლებლო აქტივობების დაგეგმვა.

55 დიდი რუკა 46 ქვეყანასა და 6 კონტინენტს მოიცავს. ყოველ რუკაზე უამრავ საინტერესო ილუსტრაციას და მნიშვნელოვან ფაქტს აღმოაჩენთ და აუცილებლად მოგინდებათ კიდევ უფრო მეტის გაგება.

ტესტები ქართულ ლიტერატურაში საატესტატო და ეროვნული გამოცდებისათვის

წიგნი I
V-XVIII საუკუნეების მწერლობა

წიგნი II
XIX საუკუნის მწერლობა

წიგნი III
XX საუკუნის მწერლობა

თითო ტომის ფასი 13 ლარი

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:
მიმღები – შპს „ახალი განათლება",
ს/კ 202058735,
ა/ა GE93LB0113314052305000,
ს/ს „ლიბერთი ბანკი", ბ/კ LBRTGE22
შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით:
555 411 668, 599 88 00 73,
032 295 80 23

ახალი განათლება

მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. №126, სართული II, ოთახი №14
ტელ.: 032 295 80 23, 599 880073
www.axaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება"
ს/კ 202058735, ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი" ბ/კ BAGAGE22,

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >
ფასი – 1 ლარი 90 თეთრი